გენდერულად პასუხისმგებლიანი

პედაგოგიური პრაქტიკა

გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პრაქტიკოსებისთვის

Activity supported by the Canada Fund for Local Initiatives

Activité réalisée avec l'appui du Fonds canadien d'initiatives locales

Canada

World Vision GEORGIA

Activity supported by the
Canada Fund for Local Initiatives
Activité réalisée avec l'appui du
Fonds canadien d'initiatives locales

Canada

World Vision
GEORGIA

მენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიური პრაქტიკა

გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პრაქტიკოსებისთვის

2022

გზამკვლევი შექმნილია პროექტის „გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერების გზით“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება World Vision საქართველოს ფონდის მიერ კანადის მთავრობა –კანადის ფონდი ადგილობრივი ინიციატივებისთვის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერული ძალადობის პრევენცია საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერების გზით.

წარმოდგენილი გზამკვლევი ხელს შეუწყობს საქართველოს სკოლებში გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის დანერგვას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროექტის მიზნის შესრულებას.

გზამკვლევის ავტორი:
თამარ მუმლაძე – ფსიქოლოგი

გზამკვლევის კონსულტანტი:
გიორგი ურჩუხიშვილი – გენდერის მკვლევარი

გზამკვლევის კოორდინატორი:
ქეთევან ქიმოსტელი – ფსიქოლოგი, პროექტის კოორდინატორი, World Vision საქართველოს ფონდი

რედაქტორი: **ჭაბუკი ქირია**

წიგნის დიზაინი: **გვანცა მახათაძე**

ყდის დიზაინი და ილუსტრაციები: **სოფო კირთაძე**

© 2022 World Vision საქართველო

ISBN 978-9941-8-4744-8

ყველა უფლება დაცულია

ამ და სხვა რესურსებისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: www.worldvision.ge

სარჩევი

შესავალი 5

გენდერი და მასთან დაკავშირებული კონსტრუქტები – ტერმინთა განმარტება 7

გენდერი და გენდერული იდენტობა 7

გენდერული სტერეოტიპები 8

გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია და ძალადობა 10

რას გულისხმობს გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიური პრაქტიკა? 13

გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის არსი 13

რატომ უნდა დავნერგოთ გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიური პრაქტიკა? 15

გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის სარგებელი 15

კანონმდებლობა და მარეგულირებელი დოკუმენტები 17

როგორ გავხადოთ პედაგოგიური პრაქტიკა გენდერულად პასუხისმგებლიანი? 20

დაგეგმვა 20

კურიკულუმი 20

სასწავლო მასალების და რესურსების შერჩევა 21

ფიზიკური გარემოს მოწყობა 23
განხორციელება 24
აკადემიური პროცესის წარმართვა 25
მოსწავლეებთან კომუნიკაციის და ინტერაქციის სტილი 27
მოსწავლეთა შეფასება აკადემიური კუთხით, რეაგირება მათ ქმედებებზე და უკუკავშირის მიცემა 28
თანამშრომლობა სკოლის ადმინისტრაციასთან 30
თანამშრომლობა მშობლებთან 31
პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება 32

გამოყენებული ლიტერატურა და სხვა წყაროები 35

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პრაქტიკოსებისათვის განკუთვნილ პრაქტიკულ გზამკვლევს, რაც დაეხმარება მათ გახადონ სწავლა-სწავლების პროცესი გენდერულად პასუხისმგებლიანი და ამით ხელი შეუწყონ, ერთი მხრივ, გენდერულ თანასწორობას, მეორე მხრივ კი გენდერული დისკრიმინაციისა და ძალადობის პრევენციას, რაც სასარგებლო შედეგების მომტანი იქნება მთლიანი საზოგადოებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობისა და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების გავლენით დღეისათვის მეტ-ნაკლებად არის დაცული ადამიანის უფლებები საქართველოში, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება უთანასწორობა და დისკრიმინაცია გენდერულ ნიადაგზე, სტერეოტიპული დამოკიდებულებები და გენდერზე დაფუძნებული ძალადობა როგორც საზოგადოებრივ დონეზე, ისე სხვადასხვა ინსტიტუციაში, მათ შორის განათლების სისტემაში. ამას მოწმობს სახალხო დამცველისა და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევები.* „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ მიერ 2022 წელს საქართველოს 3 რეგიონში (სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, კახეთი) ჩატარებულმა კვლევამ ასევე გამოავლინა სამიზნე მუნიციპალიტეტებში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობის ხელშემწყობი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა შორის გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები, მიკერძოებული დამოკიდებულებები და ცოდნის ნაკლებობა გენდერსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

რამდენადაც მასწავლებელი წარმოადგენს ცენტრალურ რგოლს სწავლა-სწავლების პროცესებში, გენდერთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მათი ცოდნის დონე და დამოკიდებულებები, და, რაც მთავარია, გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიური პრაქტიკისადმი მზაობა გადამწყვეტია იმისათვის, რომ ყველა მოსწავლემ, განურჩევლად სქესისა, გენდერული იდენტობისა, ინდივიდუალური მახასიათებლებისა და საჭიროებებისა, მიიღოს სათანადო სასკოლო განათლება და დაცული იყოს ყოველგვარი ფორმის ძალადობისაგან.

წინამდებარე გზამკვლევი შეიქმნა სწორედ ზემოთხსენებული გამოწვევების საპასუხოდ და მიზნად ისახავს საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკოსების პროფესიულ განვითარებას გენდერის მიმართულებით. გზამკვლევში ძირეული საკითხების თეორიულ მიმოხილვასთან ერთად წარმოდგენილია პრაქტიკული მითითებები და რეკომენდაციები, რაც დაეხმარება სკოლის პედაგოგებს, სათანადოდ დაინახონ და შეაფასონ გოგონებისა და ბიჭების საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებითაც უზრუნველყოფენ გენდერულად პასუხისმგებლიანი აკადემიური გარემოს შექმნას.

* სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი – კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში, 2014;
ტრენინგებისა და კვლევის ჯგუფი – მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ, 2014;
საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა, 2017.

მაშასადამე, წარმოდგენილი გზამკვლევის მიზანია:

- *აღჭურვოს პრაქტიკოსები გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის შესაბამისი სათანადო ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებებით;*
- *მისცეს შესაძლებლობა შეიმუშაონ და გამოიყენონ გენდერულად პასუხისმგებლიანი მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს გოგონებისა და ბიჭების თანასწორ მონაწილეობას სწავლა-სწავლების პროცესებში;*
- *მისცეს შესაძლებლობა დანერგონ გენდერულად პასუხისმგებლიანი სასწავლო პრაქტიკა, რომელიც ეფექტურად უპასუხებს მოსწავლეთა, როგორც გოგონების, ისე ბიჭების საჭიროებებს;*
- *ხელი შეეწყოს გენდერულ მეინსტრიმინგს სკოლის დონეზე, რაც გულისხმობს ქალთა და მამაკაცთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების სისტემურ ინტეგრაციას პოლიტიკის ფორმირების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით;*
- *მასწავლებელთა აქტიური მონაწილეობით სასკოლო გარემოში უზრუნველყოფილ იქნას გენდერთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევა, თანასწორობის ხელშეწყობა და ძალადობის პრევენცია.*
- *და ბოლოს, გზამკვლევი სკოლის პრაქტიკოსებს მისცემს თვითრეფლექსიის, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გენდერულ ჭრილში შეფასების საშუალებას, რაც დაეხმარება მათ პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესებაში.*

გენდერი და მასთან დაკავშირებული კონსტრუქტები – ტერმინთა განმარტება

მოცემულ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია შესაძლებლობას მოგცემთ:

- *გაიგოთ გენდერთან დაკავშირებული ფუნდამენტური ცნებებისა და ტერმინების მნიშვნელობა;*
- *გააცნობიეროთ გენდერული უთანასწორობისა და ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები.*

გენდერი და გენდერული იდენტობა

ადამიანები ხშირად **გენდერის** ცნებას აიგივებენ ბიოლოგიურ სქესთან, თუმცა სინამდვილეში იდენტური ცნებები არ არის. სქესი, შესაძლოა, გაგებული იქნას როგორც ბიოლოგიურად განპირობებული მახასიათებელი, ხოლო გენდერი, სტამბოლის კონვენციის თანახმად, „გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.“ სხვანაირად რომ ვთქვათ, გენდერი ეს არის ქალების/გოგონების და კაცების/ბიჭების როლი და პასუხისმგებლობები, რაც განისაზღვრება ოჯახში, სოციუმსა და კულტურაში. თითოეული გენდერისათვის სწორედ სოციალური გარემო აყალიბებს მოლოდინებს – თვისებებთან, ქცევებთან და რწმენებთან დაკავშირებით. მაშასადამე, გენდერული როლები და მოლოდინები დასწავლილია და არა ბიოლოგიურად განპირობებული და, შესაბამისად, შესაძლებელია მათი შეცვლა პრაქტიკაში.

გენდერის თანამედროვე მნიშვნელობა სოციალურ-კულტურული კონსტრუქტის აღსანიშნავად, რაც ბიოლოგიური სქესისაგან განსხვავდება, პირველად გამოიყენა სექსოლოგმა ჯონ მონიმ* (1955) იმისათვის, რომ ერთმანეთისგან გაემიჯნა ქალისა და მამაკაცის ბიოლოგია და სოციალური როლი. მოცემული ტერმინის ამ მნიშვნელობით გამოყენება ფართოდ დამკვიდრდა მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ფემინისტური თეორიების გავრცელებასთან ერთად. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მანამდეც არსებობდა თეზისი – ქალისა და მამაკაცის იდენტობის განმსაზღვრელი განსხვავებები სოციალურად კონსტრუირებულია და ბიოლოგიური სქესისაგან დამოუკიდებელია, რასაც მოწმობს, მაგალითად, სიმონ დე ბოვუარის ცნობილი ფრაზა – „ქალად არ იბადებიან, ქალად იქცევიან“ (წიგნიდან „მეორე სქესი“, 1949 წ).

გენდერთან ერთად უნდა განვიხილოთ ტერმინი **გენდერული იდენტობა**. გენდერული იდენტობა გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი თავის აღქმას ამა თუ იმ გენდერის წარმომადგენლად. ზოგ შემთხვევაში გენდერული იდენტობა შესაძლოა განსხვავდებოდეს პირის ბიოლოგიური სქესისაგან.

* http://dictionary.css.ge/content/gender

ადრეული ბავშვობა	გენდერული იდენტობა გამოვლენას იწყებს ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობიდან, ძირითადად 2-3 წლის ასაკიდან. ბავშვი შეიძლება სიტყვიერად ამბობდეს გოგოა თუ ბიჭი, ან იცვამდეს, იქცეოდეს თავის სოციუმში გოგოს ან ბიჭისთვის დადგენილი და აღიარებული ქცევების შესაბამისად (მაგალითად, გოგონა ითხოვდეს ვარდისფერ ნივთებს ან ლაქის წასმას ფრჩხილებზე; ბიჭი ითხოვდეს თოფებით თამაშს ან აკეთებდეს წვერის პარსვის იმიტაციას).
სკოლამდელი ასაკი	სასკოლო ასაკამდე ბავშვის წარმოდგენები საკუთარი გენდერული იდენტობის შესახებ არამყარი და არაფიქსირებული შეიძლება იყოს. ხშირად ისეც ხდება, რომ მცირეწლოვანი ბავშვი ნაკლებად უყურებს იმას, თუ რა მოლოდინი აქვს ოჯახსა და გარშემომყოფებს ბიჭებისა და გოგონების მიმართ და მისი მხრიდან გარეგნული ატრიბუტის, სათამაშოსა თუ აქტივობის არჩევისას ხელმძღვანელობდეს მხოლოდ საკუთარი „მოწონებით“. მაგ.: ბიჭი შეიძლება ითხოვდეს კაბის ჩაცმას და დედის როლის მორგებას, გოგონა შეიძლება გამოხატავდეს ომობანას თამაშის სურვილს. თუმცა, სკოლამდელ ასაკში ბავშვის გარემოცვაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები და შესაბამისი აღზრდის მიდგომები „კარგად კვებავს“ ბავშვს, რაც აისახება მის ქცევებსა და დამოკიდებულებებზე მომავალში.
სასკოლო ასაკი	6-7 წლიდან ბავშვები უკვე კარგად ირგებენ ამა თუ იმ გენდერულ როლს და სოციალიზაციის ზრდასთან ერთად იქცევიან იმ მოლოდინების შესაბამისად, რაც გარემოს აქვს გოგონების და ბიჭების მიმართ. მათი ქცევითი რეპერტუარი და დამოკიდებულებები უკვე გაჯერებულია გენდერული სტერეოტიპებით, რაც კიდევ უფრო მყარდება გარემოს გავლენით.

ბევრი ზრდასრული თვლის, რომ ბავშვობაში გამოვლენილი ისეთი გენდერული იდენტობა და ქცევები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ბიოლოგიურ სქესთან, არის ზრდასრულობაში ადამიანის გენდერული იდენტობის და, უფრო მეტიც, სექსუალური ორიენტაციის პრედიქტორი. ემპირიული მონაცემები კი აჩვენებს, რომ ეს ასე არ არის და სავსებით შესაძლებელია, რომ ბავშვი ადრეულ ასაკში უპირატესობას ანიჭებდეს მისი „სქესისთვის შეუფერებელ“ სამოსს, აქტივობებს და ა.შ., მაგრამ ზრდასრული იყოს ბინარული სექსუალური იდენტობის და ორიენტაციის.

გენდერული სტერეოტიპები

გენდერულ დისკრიმინაციას ხშირად ხელს უწყობს წინასწარგანწყობები და სტერეოტიპები კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ. წინასწარგანწყობა გარშემომყოფთა გარკვეული ჯგუფის მიმართ არსებული განზოგადებული ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი დამოკიდებულებაა, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ და ვეპყრობით ამ ჯგუფის წარმომადგენელს. წინასწარგანწყობა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი, თუმცა უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში წინასწარგანწყობები ხელს გვიშლის ობიექტურ აღქმასა და შეფასებაში.*

გენდერული სტერეოტიპი წარმოადგენს ობიექტურ საფუძველს მოკლებულ, ზედმეტად განზოგადებულ დასკვნებს, შეხედულებებს ქალების/გოგონების ან მამაკაცების/ბიჭების მიმართ. სტერეოტიპები შეიძლება გამოხატავდეს ქცევის, ემოციის, კოგნიტური, ფიზიკური და ა.შ. შესაძლებლობების მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას. ეს არის ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი დამოკიდებულება, რაც გავლენას ახდენს ჩვენს ქცევებზე სხვების ან საკუთარი თავის მიმართ. იმისდა მიუხედავად, სტერეოტიპი კონკრეტული ჯგუფის ადამიანთა მიმართ პოზიტიურია თუ ნეგატიური, შეიძლება იყოს უარყოფითი შედეგების მომტანი.

* ილიას სამართლის სახლი. სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება. 2022.

გენდერული სტერეოტიპების მაგალითები:

- „ბიჭები უფრო ჭკვიანები, მაგრამ ზარმაცები არიან, ვიდრე გოგონები"
- „ქალები ცუდი მძღოლები არიან"
- „კაცები არ ტირიან"
- „ქალები უფრო მზრუნველები არიან, ვიდრე მამაკაცები"
- „ქალს ყველაზე კარგად საოჯახო საქმე გამოსდის"
- „სპორტი კაცის საქმეა"
- „ბიჭები აგრესიულები არიან"
- „გოგონებს ადვილად სწყინთ"

სავარჯიშოები გენდერული სტერეოტიპების გაცნობიერებისათვის

ცალ-ცალკე ჩამოწერეთ ის გავრცელებული შეხედულებები/რწმენები, რაც საკუთარი და მეორე სქესის მიმართ გსმენიათ. დაფიქრდით შემდეგი კითხვების ირგვლივ:

- ► ამ შეხედულებას/რწმენას აქვს ობიექტური საფუძველი? (დაასაბუთეთ მოსაზრება).
- ► რაში გიშლით ხელს ან გეხმარებათ ეს შეხედულება/რწმენა?
- ► ისურვებდით ამ შეხედულების/რწმენის ცვლილებას? თუ კი, როგორ?

(სავარჯიშო შეგიძლიათ გააკეთებინოთ თქვენს მოსწავლეებსაც)

ცალ-ცალკე ჩამოწერეთ:

ა) ის პროფესიები, რომლებიც მიგაჩნიათ ქალისთვის შესაფერისად;

ბ) პროფესიები, რომლებიც მიგაჩნიათ კაცისთვის შესაფერისად;

გ) პროფესიები, რომლებიც მიგაჩნიათ ორივე სქესისთვის თანაბრად შესაფერისად;

დ) ის პროფესიები, რომლებიც არ მიგაჩნიათ საკუთარი სქესის შესაფერისად, თუმცა მოგწონთ და ისურვებდით გამოგეცადათ.

დაფიქრდით შემდეგი კითხვების ირგვლივ:

- ► *რის საფუძველზე თვლით, რომ ეს კონკრეტული პროფესია არის ქალისთვის/კაცისთვის შესაფერისი?*
- ► *თუ იცნობთ ვინმეს, ვინც არის „მისი სქესისათვის შეუსაბამო" პროფესიის წარმომადგენელი?*
- ► *რამდენად რეალისტურია ქალისთვის/კაცისთვის გახდეს იმ პროფესიის წარმომადგენელი, რომელიც მისი სქესისთვის შეუფერებლად მიგაჩნიათ? რა დაეხმარებათ/შეუშლით ხელს?*

(სავარჯიშო შეგიძლიათ გააკეთებინოთ თქვენს მოსწავლეებსაც)

რაში გვიშლის ხელს სტერეოტიპები?

- სტერეოტიპები გვიკარგავს ინდივიდუალური განსხვავებების დანახვის უნარს, ჯგუფის ყველა წარმომადგენელს „ერთ ქვაბში ვხარშავთ", ვეღარ ვიხედებით ზოგადი წარმოდგენების მიღმა და კონკრეტული ინდივიდის შესახებ აზრს ვაყალიბებთ წინასწარგანწყობების საფუძველზე, რაც შეიძლება სულაც არ შეესაბამებოდეს რეალობას;
- გვიკარგავს ობიექტური აღქმისა და შეფასების უნარს. ვიჩენთ მიკერძოებას ინფორმაციის გადამუშავებისას და ვფილტრავთ გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც ხელს გვიშლის სრული სურათის ობიექტურ დანახვაში. მაგალითად, თუ გვჯერა, რომ გოგონებს უჭირთ ფიზიკის სწავლა, შეიძლება ვამჩნევდეთ მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც ამ რწმენას გაამყარებს და მხედველობის მიღმა დაგვრჩეს ისეთი ფაქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ რწმენას;
- სტერეოტიპებმა შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს ადამიანის თვითშეფასებაზე, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე;

- სტერეოტიპების გავლენით შეიძლება ადამიანმა უარი თქვას საკუთარი რეალური სურვილების, მოთხოვნილებების, საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და/ან ხელი შეეშალოს საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში. მაგალითად, თუ გოგოს ვარწმუნებთ, რომ ის უნდა იყოს ნაზი და თანატოლებთან ჭიდაობა არ შეშვენის, შეიძლება მომავალში უარი თქვას ძიუდოზე, მიუხედავად სპორტის ამ სახეობისადმი დიდი ინტერესისა.
- კონკრეტული პიროვნებისადმი სტერეოტიპულმა დამოკიდებულებამ შეიძლება უბიძგოს მას ისეთი ქცევის განხორციელებისაკენ, რომელიც მართლაც გაამყარებს ამ წინასწარგანწყობას. მაგალითად, თუ მოსწავლეების წინაშე აღვნიშნავთ ხოლმე, რომ ბიჭები ზარმაცები არიან, ამით შეიძლება ვუბიძგოთ მათ სიზარმაცის გამოვლენისაკენ, რითაც კიდევ უფრო გავამყარებთ ჩვენს წინასწარგანწყობას ბიჭების მიმართ.
- გენდერული სტერეოტიპები აჩენს ბარიერებს, ხელს უწყობს სოციალური უთანასწორობის შენარჩუნებას, სექსიზმს, დისკრიმინაციას, ბულინგსა და ძალადობის სხვადასხვა ფორმას.*

ალბათ არ მოიძებნება ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც არ გამოუვლენია სტერეოტიპული დამოკიდებულება. ეს მოსალოდნელია, რადგან ჩვენც სტერეოტიპებით გაჟღენთილ გარემოში აღვიზარდეთ და ვცხოვრობთ. სტერეოტიპების ჩამოყალიბება ხომ პირადი გამოცდილების ან გარშემომყოფთა ზეგავლენით ხდება, მაგრამ ეს არ გვათავისუფლებს მის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებისგან.

როგორ ვებრძოლოთ სტერეოტიპებს? რეკომენდაციები

- სტერეოტიპების გაცნობიერება და აღიარება პირველი ნაბიჯია სტერეოტიპებთან საბრძოლველად.
- მუდამ გახსოვდეთ ადამიანის უნიკალურობა, ინდივიდუალური განსხვავებები და ერიდეთ მსჯელობას მხოლოდ მათი რომელიმე ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის მიხედვით.
- საკუთარი თავის წარმოდგენა სხვა ჯგუფის წევრის ადგილას და მისი მდგომარეობის გათავისება აღძრავს ემპათიას, რაც სტერეოტიპებთან ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური გზაა.
- საკუთარი ჯგუფის შესახებ არსებულ სტერეოტიპებზე დაფიქრება საშუალებას მოგცემთ უკეთესად გააცნობიეროთ სხვა ჯგუფის წევრების შესახებ არსებული სტერეოტიპები და მათი გავლენა ადამიანის ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე.
- ყურადღება მიაქციეთ, ერთმანეთის მიმართ მოსწავლეები ხომ არ ამბობენ სტერეოტიპულ ფრაზებს, ხომ არ ავლენენ გენდერულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას. როგორც კი ამას შენიშნავთ, ჩართეთ ისინი დისკუსიაში და დააფიქრეთ ასეთი დამოკიდებულების არაობიექტურობაზე.

გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია და ძალადობა

გენდერული თანასწორობა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ის ნიშნავს შესაძლებლობების თანასწორ უზრუნველყოფას, რაც ქალებს/გოგონებსა და მამაკაცებს/ბიჭებს მისცემს ამა თუ იმ სფეროში თვითრეალიზაციის საშუალებას. გენდერული თანასწორობა ეწინააღმდეგება გენდერის ნიშნით **დისკრიმინაციას**. განსხვავებულობის არც ერთ ნიშანს, იქნება ეს სქესი, გენდერული იდენტობა თუ სხვა რამ, არ უნდა ჰქონდეს რაიმე უპირატესობა სხვებთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლიდან საქართველოს ნაკისრი აქვს გაერთიანებული ერების კონვენციის შესრულების ვალდებულება და 2010 წლიდან მოქმედებს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომლის მიზანია საკანონმდებლო დონეზე სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპების განმტკიცება, გენდერული უთანასწორობა და დისკრიმინაცია კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

* ილიას სამართლის სახლი. სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება. 2022.

განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს წარმოადგენენ ქალები, განსხვავებული გენდერული იდენტობისა და ორიენტაციის მქონე პირები.

დისკრიმინაციას ვხვდებით ნებისმიერ სფეროში, მათ შორის საგანმანათლებლო სისტემაში. გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია იშვიათი არ არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სადაც ეს უკანასკნელი ხორციელდება როგორც არასრულწლოვნების, ისე დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან. დისკრიმინაცია შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი. მაგალითად, **პირდაპირ დისკრიმინაციასთან** გვექნება საქმე, თუ სკოლა ბიჭებს აუკრძალავს გრძელი თმით სიარულს, ხოლო **ირიბ დისკრიმინაციასთან** გვექნება საქმე, თუ დააწესებს ერთი შეხედვით გენდერულად ნეიტრალურ საყოველთაო შეზღუდვას, მაგრამ ამით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებს მხოლოდ ადამიანთა კონკრეტულ კატეგორიას. მაგალითად, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში აიკრძალება თავსაბურავით შესვლა, ეს დააზარალებს მხოლოდ კონკრეტული რელიგიის მიმდევარ ქალებს, რომლებსაც რელიგია ავალდებულებს თავსაბურავის ტარებას.

ცალკე უნდა გამოვყოთ **გენდერთან დაკავშირებული ძალადობის** საკითხი სკოლებში. გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებზე არის საუბარი როგორც საქართველოს სახალხო დამცველის*, ისე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევის ანგარიშებში. მათში ნათქვამია, რომ საქართველოში დაბალია გენდერული ცნობიერების დონე როგორც არასრულწლოვნებში, ისე პედაგოგებში და ხშირად სწორედ პედაგოგები უწყობენ ხელს ბავშვებში სტერეოტიპული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც გენდერული ძალადობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. გენდერული ნიშნით ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ არიან ის მოსწავლეები, რომლებიც ტრადიციულ გენდერულ ნორმებთან შეუსაბამოდ აღიქმებიან სასკოლო სივრცეში**. ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში მოსწავლეთა საკმაოდ დიდ ნაწილს განუცდია გენდერული ნიშნით ძალადობა სკოლაში – უმეტესად ფიზიკური და ფსიქოლოგიური. გვხვდება სექსუალური ძალადობისა და შევიწროების შემთხვევებიც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ **ბულინგის** დიდი მაჩვენებელი საქართველოს სკოლებში. აშშ-ის განათლების დეპარტამენტის განმარტებით, „ბულინგი გულისხმობს სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენების შეგნებულ და უმეტესწილად არაპროვოცირებულ მცდელობებს. ბულინგი შეიძლება იყოს ფიზიკური და ვერბალური. ბულინგი მოიცავს ერთი ან მეტი ადამიანის მიერ სხვა ადამიანის მიმართ განმეორებით ჩადენილ ნეგატიურ ქმედებებს, ასევე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალის დისბალანსს“. ცალკე გამოიყოფა **კიბერბულინგის** ფორმები, რაც გულისხმობს ბულინგის განხორციელებას ციფრული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. ბულინგს ახორციელებენ როგორც ბიჭები, ისე გოგონები ორივე სქესის მიმართ.

სკოლას განსაკუთრებული როლი აქვს გენდერული უთანასწორობის, სქესის ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და ცნობიერების შეცვლაში. ცალსახაა, რომ საჭიროა გარდაქმნები ცნობიერების დონეზე, რაც ყველაზე კარგად განათლების სისტემას შეუძლია.

* საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა, 2017.
საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი – ეროვნული კვლევა საქართველოში სკოლებში ძალადობის შესახებ.
ფონდი სოხუმი – სკოლები გენდერული თანასწორობის, გენდერული სტერეოტიპების, ოჯახში ძალადობის გამოწვევების პირისპირ, 2020.
** UNESCO and UN Women, 2016.

სავარჯიშო გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის და ძალადობის შემთხვევებზე დასაფიქრებლად

სიმბოლურად დახატეთ თქვენი ქალაქის/სოფლის უბანი შესაბამისი ობიექტებით (მაგ., საცხოვრებელი სახლები/კორპუსები, სკოლა, მაღაზია, საავადმყოფო). საკუთარი გამოცდილებიდან გაიხსენეთ გენდერული დისკრიმინაციის, სქესის ნიშნით ბულინგის/ძალადობის შემთხვევები თითოეული ობიექტის სივრცეში. შემთხვევათა სიხშირის დასაფიქსირებლად გამოიყენეთ ნიშნული „√“ შესაბამის ობიექტთან. როდესაც ყველა გახსენებულ შემთხვევას ასახავთ, დააკვირდით გამოსახულ სიხშირეებს და დაფიქრდით:

- *სად იკვეთება ყველაზე ხშირად გენდერული დისკრიმინაციის, სქესის ნიშნით ბულინგის/ძალადობის შემთხვევები?*
- *რა უწყობს ხელს ასეთ შემთხვევათა არსებობას?*
- *რა უნდა გაკეთდეს ასეთ შემთხვევათა თავიდან ასარიდებლად?*

(სავარჯიშო შეგიძლიათ გააკეთებინოთ თქვენს მოსწავლეებსაც)

რას გულისხმობს გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიური პრაქტიკა?

მოცემულ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია შესაძლებლობას მოგცემთ:

- *გაიგოთ გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის არსი;*
- *გააცნობიეროთ გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის სპეციფიკური მახასიათებლები.*

გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის არსი

პედაგოგიკა, ზოგადად, გულისხმობს სწავლა-სწავლების პროცესს, მას სწავლების ხელოვნებასაც უწოდებენ, რომელიც სწავლების თეორიებს პრაქტიკაში მოქმედებების სახით გარდაქმნის. საგანმანათლებლო დაწესებულებების კონტექსტში ამ ტერმინის ქვეშ გაერთიანდება 3 მთავარი კომპონენტი:

- ის, რისი სწავლებაც ხდება, რა ინფორმაცია და ცოდნა მიეწოდება მოსწავლეს;
- ის, თუ როგორ ხდება სწავლება, რა გზებით გადასცემს საჭირო ცოდნასა და ინფორმაციას პედაგოგი მოსწავლეს;
- ის, თუ როგორ ხდება დასწავლა, მიწოდებული ცოდნისა და ინფორმაციის ათვისება მოსწავლის მხრიდან.

პედაგოგიური საქმიანობის წარმატებას განსაზღვრავს სამივე ზემოთხსენებული კომპონენტი. თანამედროვე განათლების სისტემა დიდ ყურადღებას უთმობს ინკლუზიურ განათლებას, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის წვდომას ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სათანადო განათლებასთან, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა და სპეციფიკური მახასიათებლებისა. საბოლოოდ, პედაგოგიკის ეფექტურობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად კარგად ხდება მოსწავლეთა განათლების უფლების რეალიზება, მათი აკადემიური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა, სწორი ღირებულებების ჩამოყალიბება.

გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა, თავის მხრივ, გულისხმობს სწავლა-სწავლების ისეთ პროცესებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს გოგონებისა და ბიჭების სპეციფიკურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე. გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის დროს მინიმუმამდეა დაყვანილი მასწავლებელთა მხრიდან გენდერული სტერეოტიპების გამოვლენა, დისკრიმინაციული მიდგომები და შექმნილია თანასწორი შესაძლებლობები. გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის დანერგვაში პასუხისმგებელია როგორც უშუალოდ მასწავლებელი, ისე საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტი, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულ სპეციალისტებს პროფესიულ ზრდასა და საუკეთესო პრაქტიკის განხორციელებაში შესაბამისი შიდა საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებითა თუ მატერიალურ-აკადემიური რესურსების მიწოდებით.

აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის დანერგვა მარტივი საქმე არ არის, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მთელი საზოგადოება გაჟღენთილია ისეთი კულტურული/რელიგიური/

ტრადიციული შეხედულებებით, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უპირატესობას ანიჭებს რომელიმე სქესს და ამყარებს გენდერულ სტერეოტიპებს.

გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა მასწავლებლებს უბიძგებს დაფიქრდნენ გენდერის საკითხებზე, საკუთარ შეხედულებებზე, დამოკიდებულებებზე, მიდგომებზე, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პროცესზე. გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც ყველა მოსწავლე თანაბრად იღებს სარგებელს გენდერული იდენტობის ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა საჭიროებს ფრთხილი და გენდერულად მგრძნობიარე ნაბიჯების გადადგმას სწავლების სხვადასხვა კომპონენტის შესრულებისას, რაც ქვემოთ არის ჩამოთვლილი (მომდევნო ქვეთავებში დეტალურად განვიხილავთ ზემოთხსენებულ თითოეულ კომპონენტს და წარმოგიდგენთ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც პედაგოგიურ პრაქტიკას გახდის გენდერულად პასუხისმგებლიანს).

- კურიკულუმის შექმნა და გაკვეთილის დაგეგმვა;
- სასწავლო გარემოს ფიზიკური მოწყობა;
- სასწავლო რესურსების და აქტივობების შეთავაზება;
- მოსწავლეებთან ინტერაქცია და კომუნიკაცია;
- მოსწავლეთათვის უკუკავშირის მიწოდება და შეფასება.

მაშასადამე, გენდერულად პასუხისმგებლიანი სკოლა მოსწავლეს სთავაზობს აკადემიურ, სოციალურ და ფიზიკურ გარემოს, სადაც გათვალისწინებულია გოგონების და ბიჭების სპეციფიკური საჭიროებები. ასეთი სკოლის თანამშრომლები და სკოლასთან დაკავშირებული სხვა პირები იზიარებენ ისეთ საგანმანათლებლო პრინციპებს და პრაქტიკას, რომელიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და თითოეულ მოსწავლეზე ცენტრირებულ მიდგომას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სკოლის თანამშრომლები ზრუნავენ იმაზე, რომ სწავლების მეთოდოლოგია, სასწავლო რესურსები, საკლასო ოთახების ფიზიკური მახასიათებლები, მოსწავლეებთან კომუნიკაციის და ინტერაქციის გზები იყოს გენდერულად პასუხისმგებლიანი. მასწავლებლები აღჭურვილნი უნდა იყვნენ შესაბამისი ცოდნით, რათა საჭიროების შემთხვევაში სწორად უპასუხონ გოგონებისა და ბიჭების ასაკობრივ, მათ შორის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საჭიროებებს. გარდა ამისა, მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ სათანადო უნარები, რათა მოახდინონ გენდერული ძალადობის პრევენცია ტოლერანტობის, ემოციური ინტელექტის, ემპათიისა და კონფლიქტის გადაჭრის კონსტრუქციული გზების სწავლებით, ხოლო ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში ფლობდნენ სწორ ინფორმაციას ძალადობაზე რეაგირებისა და რეფერირების პროცედურების შესახებ.

ცხადია, ზემოთ აღწერილი სკოლის მოდელის არსებობა შეუძლებელი იქნება საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტის მონდომებისა და აქტიური ჩართულობის გარეშე. სასკოლო მენეჯმენტი, შიდა პოლიტიკა და მარეგულირებელი დოკუმენტები უნდა აღიარებდეს და ითვალისწინებდეს გენდერულ საჭიროებებს და ხელს უწყობდეს მათ დაკმაყოფილებას შესაბამისი ინფრასტრუქტურის, სასწავლო მასალის, ქცევის კოდექსების, გენდერულად პასუხისმგებლიანი ბიუჯეტირების, უსაფრთხოებისა და დაცვის მექანიზმების ამოქმედებისა და მასწავლებელთა ტრენინგების უზრუნველყოფით.

რატომ უნდა დავნერგოთ გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიური პრაქტიკა?

მოცემულ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია შესაძლებლობას მოგცემთ:

- *გააცნობიეროთ გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის მნიშვნელობა;*
- *დაინახოთ გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სარგებელი;*
- *გააცნობიეროთ კანონმდებლობითა და ადგილობრივი თუ საერთაშორისო მარეგულირებელი დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებები.*

გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის სარგებელი

აღიარებულია, რომ ხარისხიანი განათლება და გენდერული თანასწორობა აუცილებელი პირობებია მსოფლიოს მასშტაბით მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. ხარისხიანი განათლება ორივე სქესს აძლევს შესაძლებლობას თანაბრად მიიღონ მონაწილეობა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც დემოკრატიული და ინკლუზიური საზოგადოების საწინდარია.

თუ არ ვიყენებთ გენდერულად პასუხისმგებლიან პედაგოგიკას, მაშინ...

- გოგონებს და ბიჭებს ვეპყრობით და აღვზრდით განსხვავებულად;
- არათანაბარ ყურადღებას ვაქცევთ და, შესაბამისად, არათანაბრად ვპასუხობთ მათ შესაძლებლობებს, ნიჭს, პოტენციალს, სურვილებს, საჭიროებებს;
- შეიძლება დავთრგუნოთ პოტენციალის რეალიზება და კომპეტენციის განვითარება;
- ხელს ვუწყობთ დამკვიდრებული სტერეოტიპების შენარჩუნება-განმტკიცებას;
- პირდაპირ ან ირიბად ხელს ვუწყობთ გენდერულ უთანასწორობას და გენდერთან დაკავშირებულ ძალადობას.

გენდერულად პასუხისმგებლიან პედაგოგიურ პრაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ადამიანის უფლებების, ისე განვითარების პერსპექტივიდან. ასეთი პედაგოგიკის დანერგვას აქვს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პოზიტიური შედეგები და სარგებელი.

მაგალითად, მთელ რიგ ქვეყნებში გატარებული ღონისძიებები და სპეციალური პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას, ავლენს ისეთ მოკლევადიან პოზიტიურ შედეგებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში*, როგორიცაა შემდეგი:

* FAWE Gender Responsive Pedagogy: A Toolkit for Teachers and Schools. 2nd, updated ed. (2018).

- ხდება გოგონების გაძლიერება, რის საფუძველზეც მათ თავისუფლად და მტკიცედ შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი თავი სკოლასა თუ მის ფარგლებს გარეთ;
- სასკოლო საზოგადოებას აქვს გენდერული ცნობიერების მაღალი დონე;
- მასწავლებლები იყენებენ გენდერული თანასწორობის პრინციპებს აკადემიურ და სოციალურ პროცესებში;
- სასკოლო გარემო წაახალისებს გოგონებს გამოავლინონ აკადემიური პოტენციალი ყველა საგანში, განსაკუთრებით ტექნიკურ საგნებში;
- უმჯობესდება ურთიერთობები და სკოლის საერთო კლიმატი;
- მნიშვნელოვნად მცირდება ბულინგის, სექსუალური შევიწროების და ძალადობის შემთხვევები;
- სკოლის მიტოვების შემთხვევები იკლებს;
- და სხვ.

ასევე, არსებობს კვლევები*, რომლებიც აჩვენებს, რომ სკოლებში გენდერულად პასუხისმგებლიანმა პედაგოგიკამ და გოგონების/ახალგაზრდა ქალების გაძლიერებისკენ მიმართულმა ღონისძიებებმა გამოიღო ისეთი პოზიტიური გრძელვადიანი შედეგები, როგორიცაა:

- ადრეული და ნების საწინააღმდეგო ქორწინებების რიცხვის შემცირება;
- მოსახლეობის უკონტროლო ზრდის შეჩერება;
- ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მათ შორის აივ ინფიცირებულთა რიცხვის და სიკვდილიანობის შემცირება;
- ოჯახური და გენდერული ძალადობის, მათ შორის ფემიციდის შემთხვევათა კლება;
- ეკონომიკურ განვითარებაში ქალების წვლილის გაზრდა;
- კლიმატური ცვლილებების საპასუხო უნარების ზრდა, მათ შორის ბუნებრივი რესურსების ეფექტური მოხმარება და რეაგირება ექსტრემალური ამინდისა და ბუნებრივი კატაკლიზმების დროს;
- ქალების მონაწილეობის გაზრდა სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, რასაც პოზიტიური შედეგი აქვს როგორც ცალკეული ქვეყნებისთვის, ისე გლობალურად.



* Hawken, 2017.

კანონმდებლობა და მარეგულირებელი დოკუმენტები

თანასწორობა, დისკრიმინაციისგან და ძალადობისგან დაცულობა ადამიანის უფლებაა. რაც არ უნდა განსხვავებული პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური შეხედულებები გვქონდეს, ყველანი ვალდებული ვართ დავიცვათ სხვისი უფლებები. არ უნდა იქნას დაშვებული სხვისი ცუდად მოპყრობა, მარგინალიზება და დისკრიმინაცია. ყველა ადამიანი იმსახურებს პატივისცემით მოპყრობას. სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ისეთი ინკლუზიური საზოგადოების შექმნაში, რომელიც პატივს სცემს და იცავს ყველა ადამიანის ღირსებას და უფლებებს.

რომელი ადგილობრივი და საერთაშორისო მარეგულირებელი დოკუმენტები ავალდებულებს საგანმანათლებლო დაწესებულებას უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობის პრევენცია? ქვემოთ მიმოვიხილავთ საკითხის შესაბამის ძირითად აქტებსა და ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოუწოდებს მასწავლებლებს გენდერული თანასწორობის პრინციპების და უფლებების დაცვის და გოგონებისა და ბიჭების შესაძლებლობების თანაბარი რეალიზაციისკენ.

საქართველოს კონსტიტუცია* – კონსტიტუციით არის აკრძალული გენდერული დისკრიმინაცია; სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობა.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ** – მართალია, აღნიშნულ კანონში პირდაპირ არ ხდება იმის ხაზგასმა, რომ მასწავლებელი ხელს უნდა უწყობდეს გენდერულ თანასწორობას სწავლების პროცესში, თუმცა, ცალკე მუხლები ეთმობა დისკრიმინაციის დაუშვებლობას, გამოხატვის თავისუფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, რწმენის თავისუფლებას, ინკლუზიურ განათლებას, ძალადობისგან დაცვას, რაც არაპირდაპირ კავშირშია გენდერულ თანასწორობასთან და გენდერული დისკრიმინაციის თუ ძალადობის დაუშვებლობასთან.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები*** – საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი.

საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი**** – დოკუმენტის თანახმად, ბავშვის განათლების მიზნებს შორისაა: ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ პატივისცემის გრძნობისა და თანასწორობის სულისკვეთების განვითარება არასრულწლოვნებთან.

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ***** – ადგენს ქალისა და მამაკაცის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს. კანონის თანახმად, ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებას ევალება თანასწორი პირობები შეუქმნას ქალებს და კაცებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებისთვის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების განხორციელებაში მონაწილეობის ჩათვლით.

* https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35
** https://mes.gov.ge/old/upload/editor/file/Brdzanebebi/1/zogadi%20ganaTlebis%20shesaxeb.pdf
*** https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0
**** https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2
***** https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი* – მასწავლებელს ენიჭება პასუხისმგებლობა დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. 2020 წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული კომპონენტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებას. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, ყველა მასწავლებელი უნდა იყოს თანასწორობის პრინციპების დამცველი.

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი** – ხსენებულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მასწავლებელი უნდა იჩენდეს თანაბარ ყურადღებას ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და იზრუნოს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად. მასწავლებელი პროფესიული ვალდებულების შესრულებისას ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას, ურთიერთპატივისცემის გამოხატვასა და ადამიანის უფლებათა დაცვას.

იუნესკოს კონვენცია განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ*** – ეწინააღმდეგება ნებისმიერი ფორმის, მათ შორის, სქესზე დაფუძნებულ დისკრიმინაციას განათლებაში.

განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია**** (გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია) – ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის დაგმობის გარდა, მოგვიწოდებს, რომ განათლება მიმართული იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისკენ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გაძლიერებისკენ;

გაერთიანებული ერების ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია***** – მოგვიწოდებს, რომ მოხდეს სწავლების ყველა დონეზე და ყველა ფორმაში მამაკაცთა და ქალთა როლის ნებისმიერი სტერეოტიპული კონცეფციის აღმოფხვრა, მათ შორის სახელმძღვანელოების და სასკოლო პროგრამების გადასინჯვის და სწავლების მეთოდების ადაპტაციის გზით;

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია****** (სტამბოლის კონვენცია) ავალდებულებს სახელმწიფოს, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა სახის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს. კონვენციაში ნათქვამია, რომ მიღებულ უნდა იქნას ყველა საჭირო ზომა ისეთი საკითხების შესახებ პედაგოგიური მასალის ოფიციალურ სასწავლო პროგრამებში და განათლების ყველა დონეზე ჩასართავად, როგორიცაა: თანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის, არასტერეოტიპული გენდერული როლები, ურთიერთპატივისცემა, პიროვნებათაშორის ურთიერთობებში კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარება, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება.

სავარჯიშო

მას შემდეგ, რაც კარგად გაეცნობით ამ თავში წარმოდგენილ ინფორმაციას, დაწერეთ ესეი სათაურით –
„გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა – სავალდებულო თუ სასურველი პედაგოგიური პრაქტიკა?“
ესეის დაწერის შემდეგ კარგი იქნება, თუ კოლეგები ერთმანეთს გაუზიარებთ თქვენს ნამუშევრებს და ჩაერთვებით დისკუსიაში.

* https://matsne.gov.ge/ka/document/view/80548?publication=0
** https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0
*** https://matsne.gov.ge/ka/document/view/4466863?publication=0
**** https://matsne.gov.ge/ka/document/view/4466863?publication=0
***** http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf
****** https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

კითხვები რეფლექსიისთვის:

- *ჩამოთვლილთაგან რომელ დოკუმენტს/დოკუმენტებს იცნობდით?*
- *იმ შემთხვევაში, თუ იცნობდით რომელიმე დოკუმენტს, რამდენად აქცევდით ყურადღებას უშუალოდ გენდერულ საკითხებზე არსებულ ჩანაწერებს?*
- *თქვენი აზრით, რამდენად კარგად ასრულებს განათლების სისტემა დოკუმენტების ამონარიდებში ხაზგასმულ ვალდებულებებს?*
- *პირადად თქვენ რას აკეთებთ ამ ვალდებულებების შესასრულებლად?*

როგორ გავხადოთ პედაგოგიური პრაქტიკა გენდერულად პასუხისმგებლიანი?

მოცემულ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია შესაძლებლობას მოგცემთ:

- *გაიგოთ, თუ რას უნდა მიაქციოთ ყურადღება სასწავლო მასალის და აქტივობების შერჩევისას, აკადემიური პროცესების წარმართვისას;*
- *გაიგოთ, თუ როგორ უნდა აწარმოოთ კომუნიკაცია და უკუკავშირი მოსწავლეებთან;*
- *გააცნობიეროთ მშობლებსა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის დანერგვისთვის;*
- *დაუკვირდეთ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას და შეაფასოთ გენდერულად პასუხისმგებლიანობის ჭრილში.*

დაგეგმვა

გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის დაგეგმვა სკოლაში მოიცავს ისეთ საფეხურებს, როგორიცაა: კურიკულუმის შექმნა, სასწავლო მასალისა და რესურსების შერჩევა, ფიზიკური გარემოს მოწყობა. დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რამდენად პასუხობს თქვენს ხელთ არსებული კურიკულუმი, რესურსები და ფიზიკური გარემო გოგონებისა და ბიჭების ინდივიდუალურ საჭიროებებს? რამდენად თანასწორ პირობებში აყენებს ყველა მოსწავლეს და აძლევს პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობას? რამდენად თავისუფალია გენდერული სტერეოტიპებისგან?

ქვემოთ განვიხილავთ დაგეგმვის თითოეული საფეხურის დროს გასათვალისწინებელ ასპექტებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ პედაგოგიური პრაქტიკა იყოს გენდერულად პასუხისმგებლიანი.

კურიკულუმი

კურიკულუმი საგანმანათლებლო პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ის განსაზღვრავს, თუ რისი სწავლება უნდა მოხდეს, რა აქტივობები უნდა ჩატარდეს ამ მიზნით და რამდენი დრო უნდა დაეთმოს ამა თუ იმ საკითხის შესწავლას. საჯარო სკოლებში წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საფეხურებრივ საგნობრივ სტანდარტებს, შესაბამისად, თუ იმთავითვე არ არის მასში ინტეგრირებული გენდერული საკითხები, მასწავლებელი დამატებითი ძალისხმევის გარეშე ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული თემის ირგვლივ მოსწავლეთათვის სათანადო ცოდნის მიწოდებას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელს ამ კუთხით არაფრის გაკეთება შეუძლია. უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელი ყურადღებით უნდა გაეცნოს კურიკულუმს და განსაზღვროს, რამდენად პასუხობს გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის მოთხოვნებს იქ მითითებული საკითხავი მასალა, აქტივობები. გაითვალისწინეთ, რომ მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, თავადაც შექმნას კომპლექსური დავალებები,

რომლის დამუშავების ეტაპებზეც გამოიყენებს მის მიერ შერჩეულ, გენდერულად პასუხისმგებლიან საკითხავ/საინფორმაციო მასალას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს/აქტივობებს (ცხადია, ეს ყოველივე უნდა შეიქმნას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისა და საგნობრივ სტანდარტში წარმოდგენილი მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით). ამ დროს, საუკეთესო შემთხვევაში, მასწავლებელმა კონსულტაცია უნდა გაიაროს გენდერისა და უფლებების საკითხებზე სპეციალიზებულ ექსპერტებთან.

საყურადღებოა, რომ მაშინაც კი, თუ საგნის სპეციფიკა ან სხვა გარემოება არ იძლევა უშუალოდ კურიკულუმში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას, მასწავლებელს შეუძლია შეიტანოს წვლილი გენდერული სტერეოტიპების დაძლევაში, გენდერულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებაში, განსხვავებულობისადმი ტოლერანტობის განვითარებაში და ა.შ. უშუალოდ გაკვეთილის მსვლელობისას სწორი აქცენტების გაკეთებით, სათანადო შეტყობინებების გადაცემით, მოდელირებით, უკუკავშირის მიწოდებით და სხვა გზებით, რაზეც გზამკვლევის სხვა ნაწილებშიც არის საუბარი.

სასწავლო მასალების და რესურსების შერჩევა

სასწავლო რესურსების შერჩევა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოხდეს. აქ იგულისხმება როგორც საკითხავი ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე რესურსები – სავარჯიშოების კრებულები, ფილმები, ვიდეორგოლები, სტატიები და სხვა. რადგან სკოლის შემთხვევაში ძირითად რესურსს სახელმძღვანელოები წარმოადგენს, ამჯერად თქვენს ყურადღებას სწორედ მათზე შევაჩერებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულია სასკოლო სახელმძღვანელოების რეცენზირებისა და გრიფის მინიჭების წესი. შეფასებას ახდენს რეცენზენტთა კომისია, რომელიც კომპლექტდება საგნის სპეციალისტებით, ფსიქოლოგით და უფლებადამცველით. სასკოლო სახელმძღვანელოების რეცენზირების მოქმედ კრიტერიუმებს შორის არის გენდერულად მგრძნობიარე მოთხოვნებიც, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგი:

- **სახელმძღვანელო თავისუფალი უნდა იყოს სტერეოტიპული, არაკორექტული და დისკრიმინაციული ელემენტებისგან (მათ შორის, სქესის ნიშნით);**
- **ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცული უნდა იყოს თანასწორობა სქესის ნიშნით;**
- **ილუსტრაციები და შინაარსი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი სახის ძალადობის წამქეზებელი მოწოდებისგან.**

გენდერულად მგრძნობიარე სასკოლო სახელმძღვანელოს შინაარსი უნდა ასახავდეს არა მხოლოდ ქალებისა და კაცების ცხოვრებას, არამედ, რაც მთავარია, ხელს უნდა უწყობდეს გენდერულ თანასწორობას, განსხვავებულობის მიმღებლობას, დისკრიმინაციის და ძალადობის აკრძალვას, ფესვგადგმული სტერეოტიპების მსხვრევას. სასწავლო მასალა მოსწავლეს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, დაინახოს ცვალებადი გენდერული ნორმები (მაგ., რომ ჯარისკაცი შეიძლება იყოს ქალი და კონდიტერი მამაკაცი).

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასკოლო სახელმძღვანელოები მხოლოდ რეცენზირების შემდეგ ხდება გრიფმინიჭებული, ეს არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მათი შინაარსი და წარმოდგენილი დავალებები სრულად უპასუხებს გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის სტანდარტებს, რადგან ისინი შეიძლება კვლავ მხარს უჭერდეს ოჯახის პატრიარქულ ხედვას, გენდერულ სტერეოტიპებსა და სტერეოტიპულ სოციალურ გენდერულ როლებს. მაგალითად, საგანმანათლებლო ლიტერატურაში მამრობითი სქესი ხშირად წარმოდგენილია, როგორც ძლიერი, მნიშვნელოვანი ფიგურა, იკვეთება მისი აქტიური, სოციალურად მნიშვნელოვანი როლი, ხოლო ქალებს მორგებული აქვთ პასიური როლი და ხშირად წარმოგვიდგებიან საშინაო კონტექსტში, ხაზი ესმევა მათ სისუსტეს და სხვისი მფარველობის საჭიროებას.

სტერეოტიპები შეიძლება იგრძნობოდეს არა მარტო ტექსტებში, არამედ ილუსტრაციებსა და სავარჯიშოებშიც კი. მაგალითად, პოლიციელის ან მძღოლის როლში შეიძლება შეგვხვდნენ მხოლოდ მამაკაცები, მასწავლებლების ან ბავშვზე მზრუნველი პირების როლში – მხოლოდ ქალები.

მიაქციეთ ყურადღება ზემოთ აღწერილ ასპექტებს და თუ გაქვთ არჩევანის შესაძლებლობა, აირჩიეთ ისეთი სახელმძღვანელო, სავარჯიშოების კრებული, დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც მეტად პასუხობს გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გაქვთ არჩევანის შესაძლებლობა, აუცილებლად გააკეთეთ სწორი აქცენტები. მაგალითად, თუ ქართული ენის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ისეთი ტექსტი, რომელიც ამყარებს სტერეოტიპებს, ტექსტის სწავლებისას აუცილებლად მოგიწევთ ყურადღების გამახვილება მოსწავლეებთან ამ საკითხზე, რათა დაანახოთ სტერეოტიპების მანკიერი მხარეები. შეგიძლიათ დამატებით მოიშველიოთ სტერეოტიპების დაძლევისკენ მიმართული სავარჯიშოები (მაგ., ის სავარჯიშოები, რომლებიც ამ გზამკვლევში გენდერული სტერეოტიპების ქვეთავში არის წარმოდგენილი), ფილმები, ვიდეორგოლები ან თუნდაც ცხოვრებისეული მაგალითები.

სავარჯიშო

კარგად დააკვირდით ილუსტრაციებს და დაფიქრდით:

- *რომელი ილუსტრაციაა გენდერული სტერეოტიპის შემცველი?*
- *რატომ ფიქრობთ ასე?*
- *რა ცვლილებას შეიტანდით ილუსტრაციაში იმისათვის, რომ ყოფილიყო გენდერულად დაბალანსებული?*
- *გადახედეთ იმ სასკოლო სახელმძღვანელოებს, რომლებთანაც შეხება გაქვთ. შეიცავს გენდერული სტერეოტიპის ამსახველ ილუსტრაციებს?*

ფიზიკური გარემოს მოწყობა

გენდერულად პასუხისმგებლიანი სკოლა ინფრასტრუქტურის, ფიზიკური გარემოს, ინტერიერის მოწყობისას ითვალისწინებს გოგონებისა და ბიჭების სპეციფიკურ საჭიროებებს და სხვადასხვა გენდერულ ასპექტებს. ეს ეხება არა მარტო საპირფარეშოებს და გასახდელებს (მაგ., სპორტდარბაზებთან არსებულ გამოსაცვლელ ოთახებს), არამედ საკლასო ოთახებსა და საგნობრივ კაბინეტებსაც.

რას უნდა მიექცეს ყურადღება სკოლის ფიზიკური გარემოს გენდერული მგრძნობიარობის შეფასებისას?

- არის თუ არა საპირფარეშოები მორგებული გოგონათა ინტიმურ ჰიგიენასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საჭიროებებს?
- არის თუ არა საპირფარეშოები/გასახდელები დაცული სექსუალური ძალადობისგან?
- როგორ არის კლასში მერხები განლაგებული? ხომ არ ახდენს გოგონებისა და ბიჭების ხელოვნურ სეგრეგაციას ან დისკრიმინაციას?
- თუ მერხები დგას მწკრივში, რომელიმე მოსწავლის სიმაღლე ან ხმის ტემბრი ხომ არ უშლის ხელს გაკვეთილზე სრულფასოვან მონაწილეობაში?
- კედლებზე განთავსებული თვალსაჩინოებები (სურათები, პოსტერები, ნახატები) ხომ არ არის სტერეოტიპული? პირდაპირ ან ირიბად ხომ არ მოუწოდებს ძალადობისკენ, ბულინგისკენ, დისკრიმინაციისკენ?
- საგნობრივ კაბინეტებში წარმოდგენილი სურათებით რამდენად არის დაცული გენდერული ბალანსი? მაგალითად, ქართული ენის კაბინეტში ხომ არ არის მხოლოდ კაცი პოეტების სურათები? ფიზიკის კაბინეტში არის თუ არა ქალი მეცნიერების სურათები? სპორტდარბაზებში არის თუ არა როგორც ქალი, ისე კაცი სპორტსმენების წარმატებების ამსახველი სურათები?
- სპორტ დარბაზები აღჭურვილია მრავალფეროვანი სასპორტო ინვენტარით, რომელზეც თანაბარი წვდომა აქვთ გოგონებს და ბიჭებს?

სავარჯიშო

მოამზადეთ ისეთი საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს აღწერილობა (წერილობით ან ილუსტრაციების გამოყენებით), რომელიც პასუხობს გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის მოთხოვნებს. გაუზიარეთ ნაშრომები კოლეგებს. დაფიქრდით, თქვენი აღწერილობა რამდენად ჰგავს/განსხვავდება იმ კლასების ფიზიკური გარემოსგან, რომელშიც გიწევთ შესვლა?

სავარჯიშო

გაეცანით ქვემოთ წარმოდგენილ სიტუაციის აღწერებს და დაფიქრდით, რას და როგორ გააკეთებდით მოცემულ სიტუაციაში?

სიტუაციის აღწერა	კითხვები დაფიქრებისთვის
დაწყებითი კლასებისთვის სკოლამ დაამზადებინა ვარდისფერი და ცისფერი მერხები და სკამები. მასწავლებლებმა გადაწყვიტეს ისე გაენაწილებინათ ისინი კლასებში, რომ გოგოებისთვის დაედგათ ვარდისფერი, ხოლო ბიჭებისთვის ცისფერი მერხები. ამასთან, ვარდისფერ მერხებს მიაკრეს ყვავილის ფორმის სტიკერი მოსწავლის სახელის და გვარის ჩასაწერად, ხოლო ცისფერს – მანქანის ფორმის სტიკერი.	• არის თუ არა აღწერილი პრაქტიკა გენდერულად პასუხისმგებლიანი? • რატომ ფიქრობთ ასე? • რა კონკრეტული სტერეოტიპების ჩამოყალიბება/განმტკიცებას შეიძლება შეეწყოს ხელი? • რა ცვლილებები იქნებოდა საჭირო? • თქვენ, როგორც მასწავლებელს, რა შეგიწყობდათ / შეგიშლიდათ ხელს საჭირო ცვლილებების განხორციელების გზაზე?
ერთ-ერთ სკოლაში კლასები დაყოფილია სქესის ნიშნით. გოგონები განთავსებულნი არიან მარჯვენა იზოლირებულ ფლიგელში, ბიჭები მარცხენაში, ისე რომ ერთმანეთს მხოლოდ სკოლის შენობის გარეთ ხედავენ. მათთვის შეთავაზებულია სხვადასხვა პროგრამები: ბიჭების კლასში გაძლიერებულად ისწავლება ტექნიკური საგნები, გოგონების კლასში ჰუმანიტარული საგნები.	
საბაზო საფეხურის კლასის ხელმძღვანელებს დირექციამ დაავალა მოსწავლეებისთვის ბაზისური ინფორმაციის მიწოდება რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე (ასაკობრივი თავისებურებების, პირადი საზღვრების დაცვის, სოციალურად მისაღები და მიუღებელი ქცევების და ა.შ. შესახებ). ამასთან, რადგან მასწავლებლები იყვნენ ქალები, დირექტორმა დისკომფორტის თავიდან ასარიდებლად ურჩია მათ მხოლოდ გოგონებთან გაეკეთებინათ ასეთი საინფორმაციო შეხვედრა.	

კითხვები რეფლექსიისთვის:

დაფიქრდით საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაზე და განსაზღვრეთ:

- *რამდენად პასუხობს გენდერულად პასუხისმგებლიან პედაგოგიკას თქვენს ხელთ არსებული კურიკულუმი, სასწავლო მასალები და სკოლის ფიზიკური გარემო?*
- *როგორ შეგიძლიათ უკეთესი გახადოთ სასწავლო გარემო გენდერული ბალანსის თვალსაზრისით?*
- *რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამთ რეალური სიტუაციისა და ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით?*

განხორციელება

რაც არ უნდა კარგად იყოს შედგენილი კურიკულუმი და სახელმძღვანელო ან პირიქით, რაც არ უნდა ხარვეზები იყოს მასში, უშუალოდ მასწავლებელზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის გატარებას. ამ კუთხით მნიშვნელობა ენიჭება, თუ როგორ წარმართავს აკადემიურ პროცესებს, როგორ დაამყარებს კომუნიკაციას მოსწავლეებთან, რა უკუკავშირს და შეფასებას მისცემს მოსწავლეთა ქცევებს. ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სკოლის მართვის გუნდთან / ადმინისტრაციასთან და მშობლებთან.

აკადემიური პროცესის წარმართვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაკვეთილის გენდერულ მგრძნობელობაზე მთავარი პასუხისმგებლობა ენიჭება მასწავლებელს. სწავლა-სწავლების პროცესში მან უნდა გაითვალისწინოს კლასში ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, მათ შორის გენდერთან დაკავშირებული, თავისებურებები და საჭიროებები.

როგორ გავხადოთ სწავლა-სწავლების პროცესი გენდერულად პასუხისმგებლიანი?

რეკომენდაციები

- გახსოვდეთ, გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ყველა თქვენგანის მოვალეობაა. არ იფიქროთ, რომ ეს მხოლოდ იმ საგნის მასწავლებლების საქმეა, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან ამ თემასთან (მაგ., სამოქალაქო განათლების მასწავლებლები). **არა აქვს მნიშვნელობა, რომელ საგანს ასწავლით**, ქართულ ენას, მათემატიკას, ფიზიკას, ხელოვნებას თუ „მე და საზოგადოებას“, თანაბრად შეგიძლიათ წვლილის შეტანა სასწავლო მასალის გამოყენებისას სწორი აქცენტების გაკეთებით, მოსწავლეთა მიმართ სწორი დამოკიდებულებით, აკადემიური პროცესების სათანადოდ ორგანიზებით, თანასწორი მოპყრობით, სამართლიანი უკუკავშირის მიცემით და ამ გზამკვლევში წარმოდგენილი სხვა რეკომენდაციების გათვალისწინებით. გენდერულ საკითხებზე მსჯელობას და სპეციალური აქტივობების შეთავაზებას შეგიძლიათ დაუთმოთ დამატებითი დრო როგორც გაკვეთილების პერიოდში, ისე კლასგარეშე აქტივობებისას (მაგ., დასვენებაზე, ექსკურსიაზე).
- მნიშვნელოვანია, რომ საგაკვეთილო პროცესში გოგონებს და ბიჭებს, სხვადასხვა გენდერული იდენტობის მქონე მოსწავლეებს ეძლეოდეთ შესაძლებლობა იურთიერთონ ერთმანეთთან და ჩაერთონ ერთობლივ აქტივობებში. მართალია, ცალკეულ შემთხვევებში, თუ დავალების სპეციფიკა მოითხოვს, ჯგუფური აქტივობების შესრულებისას შეგიძლიათ ჯგუფები დააკომპლექტოთ სქესის ნიშნით, თუმცა არამიზანშეწონილია დაჯგუფების აღნიშნული მეთოდის ხშირად გამოყენება. დაჯგუფების არაერთი ნეიტრალური მეთოდი არსებობს და თქვენც გამოიყენეთ ეს მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად (მაგ., დაჯგუფება დაბადების თარიღის მიხედვით, თმის ფერის მიხედვით, აქსესუარის მიხედვით, გათვლის გზით, შემთხვევითობის პრინციპით და სხვა). სქესის ნიშნით მოსწავლეთა განმეორებითი დაჯგუფება ხელს შეუწყობს გოგონებისა და ბიჭების სეგრეგაციას, დაპირისპირებას, ერთმანეთისადმი კონკურენციას. ამის საპირისპიროდ, შერეული ჯგუფები განავითარებს ერთმანეთის მიმღებლობის, თანამშრომლობის, ემპათიის, კომუნიკაციის უნარებს და უკეთესად მოამზადებს მომავალი რეალური ცხოვრებისათვის, სადაც ქალებს და კაცებს ერთ სივრცეში უწევთ თანაცხოვრება, მუშაობა, სოციალურ ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.
- ყურადღება მიაქციეთ, აძლევთ თუ არა თანაბარ საშუალებას სხვადასხვა გენდერული იდენტობის მქონე მოსწავლეებს, გამოხატონ საკუთარი თავი, გამოთქვან საკუთარი აზრები, პოზიციები და სურვილები. ხომ არ გიბიძგებთ რაიმე, რომ მიკერძოებულები იყოთ გოგოების ან ბიჭებისადმი? დააკვირდით და აკონტროლეთ პროცესები, რათა რომელიმე მოსწავლე ან მოსწავლეები არ დაგრჩეთ ყურადღების მიღმა.
- მიზანშეწონილია, რომ აკადემიური პროცესის დროს გოგონებს და ბიჭებს მისცეთ ერთნაირი დავალებები და არა განსხვავებული (თუ საქმე არ ეხება თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას, სადაც მოსწავლეებს ინდივიდუალურად შეუძლიათ თავად აირჩიონ სასურველი აქტივობა). მაგალითად, ქართული ენის გაკვეთილზე ყველას მიეცით ერთნაირი დავალება (ვთქვათ, დაწერონ ესეი); სპორტის გაკვეთილზე ყველას ათამაშეთ ფეხბურთი, ამასთან, ისე, რომ გუნდები იყოს შერეული (და არა ბიჭები გოგონების წინააღმდეგ).
- ხშირად მასწავლებლები გოგონებსა და ბიჭებს არასაგაკვეთილო პერიოდში (მაგ., შესვენებაზე, გაკვეთილის შემდგომ) განსხვავებულ ინსტრუქციებს და დავალებებს აძლევენ, მაგალითად, გოგონებს სთხოვენ, დაასუფთაონ კლასი, ბიჭებს კი ავალებენ საკლასო ინვენტარის გადაადგილებას. ვაღიაროთ, რომ ის დავალებები, რის შესრულებასაც მოსწავლეებს ვთხოვთ, თანაბრად კარგად შეიძლება შეასრულოს ორივე სქესის წარმომადგენელმა და თუ ჩვენ მათ განსხვავებულ მითითებებს ვაძლევთ, ეს მხოლოდ გენდერული სტერეოტიპების შედეგია. მაშასადამე, თუ გვსურს რომ ვებრძოლოთ გენდერულ სტერეოტიპებს, მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ამ საკითხს.

- სასკოლო გარემოში საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა გოგონებისა და ბიჭების შეჯიბრი ან შედარება სხვადასხვა აქტივობების შესრულების დროს. გენდერული თვალსაზრისით, აღნიშნული არ არის მიზანშეწონილი და მთელ რიგ ისეთ რისკებს შეიცავს, როგორიცაა გენდერული ნიშნით დაპირისპირება/ბულინგი, გენდერული სტერეოტიპების გამყარება, მოტივაციის დაქვეითება და სხვა. მაგ: ერიდეთ ასეთ ფრაზებს: „გოგოები უკეთესად კითხულობთ, ვიდრე ბიჭები"; „როგორი სიწყნარეა კლასში, როცა ბიჭები არ არიან"; „რა თქმა უნდა, მათემატიკაში გოგოები ბიჭებს ვერ დაეწევით".
- როგორც ზემოთ იყო ნახსენები, შესაძლოა პროგრამულ სახელმძღვანელოში არსებული ტექსტები შეიცავდეს სტერეოტიპებს. ალბათ დაგაინტერესებთ, რა უნდა გააკეთოთ ამ შემთხვევაში? მიზანშეწონილი იქნებოდა მოცემული ტექსტის უბრალოდ გამოტოვება? ოპტიმალური გამოსავალი იქნებოდა ტექსტის განხილვის, დისკუსიის, კრიტიკული შეკითხვების და სწორი აქცენტების გაკეთების გზით დაგეფიქრებინათ მოსწავლეები იქ წარმოდგენილ სტერეოტიპებზე, მათ ნეგატიურ გავლენებსა და შეცვლის გზებზე.

როგორ გავხადოთ სტერეოტიპების შემცველი ტექსტის სწავლების პროცესი გენდერულად პასუხისმგებლიანი?

ნიმუში

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ლექსი:

მზე შინა

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო.
უკივლია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო.
გათენდი, თუ გათენდები,
მზევ, შინ შემოდიო.
მზე დაწვა და მთვარე შობა,
მზევ, შინ შემოდიო.
ჩვენ ვაჟი დაგვბადებია,
მზევ, შინ შემოდიო.
დუშმანსა ქალი ჰგონია,
მზევ, შინ შემოდიო.
ვაჟის მამა შინ არ არი,
მზევ, შინ შემოდიო.
ქალაქს არი აკვნისთვინა,
მზევ, შინ შემოდიო.
ვაჟის მამას მოუხდება,
მზევ, შინ შემოდიო,
თეთრი კაბა ატლასისა,
მზევ, შინ შემოდიო,
ცხენზე ჯდომა, ჯირითობა,
მზევ შინ შემოდიო,
ყაბახს სროლა, ბურთაობა,
მზევ, შინ შემოდიო.
მზევ, შემოდი ბაკებსაო,
მზევ, შინ შემოდიო,
ცხვარს დაგიკლავ მაკესაო,
მზევ, შინ შემოდიო!

ხალხური

დაფიქრდით:

- არის თუ არა ლექსი გენდერული სტერეოტიპის შემცველი?
- ახდენს თუ არა მდედრობითი სქესის დისკრიმინაციას და დაკნინებას?
- ლექსის რომელი მონაკვეთებია განსაკუთრებით საყურადღებო?

როგორ შეიძლება გაკვეთილის წარმართვა ლექსის ირგვლივ?

- ხაზი გაუსვით მონაკვეთებს, სადაც ჩანს სტერეოტიპული დამოკიდებულება და ქალთა დისკრიმინაცია;
- ჰკითხეთ, რამდენად სამართლიანად მიაჩნიათ ლექსში აღწერილი ტრადიცია;
- მიუთითეთ შესაბამის სამართლებრივ აქტებზე, რომლებიც ეხება გენდერულ თანასწორობას;
- დასვით კრიტიკული შეკითხვები, დააფიქრეთ და ამსჯელეთ მოსწავლეები ასეთი სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულების ნეგატიურ შედეგებზე.
- სთხოვეთ გაიხსენონ სხვა ტექსტები, სადაც ასევე გენდერული სტერეოტიპები და უთანასწორობა იკვეთება, მათ შორის ისეთის, სადაც ხდება მამრობითი სქესის დისკრედიტაცია.

მოსწავლეებთან კომუნიკაციის და ინტერაქციის სტილი

გენდერულად პასუხისმგებლიან პედაგოგიკას ასევე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის, თუ როგორ ამყარებს მასწავლებელი კომუნიკაციას მოსწავლეებთან, როგორ ურთიერთობს მათთან, როგორ სამეტყველო ენას, ტონს, მიმართვებს, ეპითეტებს იყენებს გოგოებისა და ბიჭების მიმართ. ზოგჯერ სრულიად გაუცნობიერებლად შეიძლება ვიყენებდეთ განსხვავებულ საკომუნიკაციო ენას, ვიყოთ გენდერულად მიკერძოებული, რასაც საფუძვლად უდევს სტერეოტიპული შეფასებები, რომ მაგალითად, გოგოები ნაზი, სათუთი და მარტივად დამყოლი პიროვნებები არიან, ბიჭები კი უფრო ამტანი, ძლიერი და ჯიუტი. ასეთი შეფასებების ფონზე გოგოებს შეიძლება მივმართავდეთ ნაზი ხმით, ხოლო ბიჭებს მკაცრი და უხეში ტონით და ასევე, ვიყენებდეთ ჩვენივე დამოკიდებულების შესაბამის ეპითეტებს.

სავარჯიშო რეფლექსიისთვის

გავრცელებული ეპითეტები

„წესიერი“
„წყნარი“
„ნაზი“
„სათუთი“
„დამჯერი“

გავრცელებული ეპითეტები

„ყოჩაღი“
„ძლიერი“
„ცელქი“
„უძლეველი“
„ამრევი“

თქვენ რა ეპითეტები გამოგიყენებიათ გოგოების მიმართ?	თქვენ რა ეპითეტები გამოგიყენებიათ ბიჭების მიმართ?
გაიხსენეთ ბიჭი მოსწავლე/მოსწავლეები, რომელსაც შეესაბამება ზემოთ წარმოდგენილი ეპითეტები	გაიხსენეთ გოგო მოსწავლე/მოსწავლეები, რომელსაც შეესაბამება ზემოთ წარმოდგენილი ეპითეტები

ყველამ კარგად ვიცით, რომ არასრულწლოვნები დაკვირვების გზით ბევრ რამეს სწავლობენ და ითვისებენ გარშემომყოფებისგან (როგორც თანატოლების, ისე მოზრდილებისგან). მასწავლებელი, რომელიც ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვნისთვის ავტორიტეტული ფიგურაა, დაგეგმილი ან დაუგეგმავი მოდელირების (ქცევის დემონსტრირების) გზით ასწავლის, გადასცემს ბავშვებს, თუ როგორი ქცევაა მისაღები, როგორი – მიუღებელი. რაც არ უნდა ვესაუბროთ მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ აგრესია დაუშვებელია, თუ ის ხედავს, რომ ჩვენ აგრესიულად ვეპყრობით მათ, სხვა მოსწავლეებს, კოლეგებს, ცხადია ჩვენი საუბარი დადებით შედეგებს ვერ გამოიღებს. უფრო მეტიც, მოსწავლეებში ამან შეიძლება გამოიწვიოს პროტესტის განცდა და ჩვენი ავტორიტეტიც კი შელახოს მათ თვალში. სწორედ ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა ვიყოთ გენდერულად პასუხისმგებლიანები და ვაკონტროლოთ ჩვენი თითოეული სიტყვა, ფრაზა, ჟესტი, მიმიკა, ქმედება.

რეკომენდაციები

- დაუკვირდით თქვენი კომუნიკაციის სტილს, ხომ არ განსხვავდება ის გოგონებთან და ბიჭებთან ურთიერთობისას? როგორ მიმართავთ მათ? ხანდახან მაინც ხომ არ წამოგცდებათ ხოლმე სტერეოტიპული ფრაზები, როგორიცაა მაგალითად: „გოგონებს სინაზე მოგეთხოვებათ“, „ბიჭებმა ყოველთვის უნდა დაუთმონ გოგონებს“, „რა გოგოსავით გაგიზრდია თმები“, „რა ბიჭივით აჩაჩული გაქვს ტანსაცმელი“. დაკვირვების გზით იმის დანახვა და გაცნობიერება, თუ როდის რა შეცდომას უშვებდით, დაგეხმარებათ მათ თავიდან არიდებაში.
- აკონტროლეთ, ვისთან რას ამბობთ, როგორ მიმართავთ, რა შეტყობინებებს გასცემთ. გმართებთ დაუფიქრდეთ თითოეულ სიტყვას და ფრაზას. ყოველთვის ერიდეთ სტერეოტიპული ენის გამოყენებას;
- ერიდეთ მიკერძოებული დამოკიდებულების გამოხატვას რომელიმე სქესის მიმართ. მსგავსი ფრაზები – „ჩემი წყნარი გოგოები“, „ჩემი მოუსვენარი ბიჭები“, „დღეს მხოლოდ გოგონებმა დაიმსახურეს ეზოში გასვლა“ – შეიძლება უკვე იყოს სტერეოტიპული გავლენების მატარებელი.
- აკრძალეთ დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ზედმეტსახელების გამოყენება მოსწავლეთა მიმართ (მაგ., „გლობუსა“, „ბუთხუზა“, „აყლაყუდა“, „ცხვირა“). მოუწოდეთ მოსწავლეებს, ერთმანეთის მიმართ არ გააკეთონ დამცინავი, დამაკნინებელი კომენტარები გარეგნობის, ჩაცმულობის, წარმომავლობის ან შესაძლებლობების გამო. მიაქციეთ ყურადღება, რომ მოსწავლეებმა გენდერის გამომხატველი სიტყვა – ქალი/კაცი, გოგო/ბიჭი არ გამოიყენონ დამამცირებელ კონტექსტში (მაგ., „ქალი ხარ, რომ გეშინია?“, „რა კაცივით იგინები“...).
- მოუწოდეთ მოსწავლეებს, პატივი სცენ ერთმანეთის გენდერულ იდენტობას, არ დაამცირონ იმის გამო, რომ ვთქვათ, ბიჭი ატარებს გრძელ თმას, გოგო ირჩევს „ბიჭურ“ ტანსაცმელს, ბიჭი მოსწავლე დასვენებაზე გოგონებთან ურთიერთობას ამჯობინებს, ვიდრე ბიჭებთან გართობას. აუხსენით, რომ დამამცირებელია მსგავსი ფრაზები: „გოგო ეგონები ხალხს, თუ თმას არ შეიჭრი“, „ბიჭივით რატომ იცვამ სულ, კაბა არ გაქვს?“ , „ქალაჩუნა ხარ, სულ გოგოებთან რომ ხარ?“ „შენ შემთხვევით ბიჭები/გოგოები ხომ არ მოგწონს?“
- ეცადეთ გაუღვივოთ ემპათია და ტოლერანტობა ერთმანეთის მიმართ, ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, თავად უნდა იყოთ ემპათიური და ტოლერანტული, არ გეშინოდეთ განსხვავებულობის და პატივს სცემდეთ ადამიანის ინდივიდუალურობას.

მოსწავლეთა შეფასება აკადემიური კუთხით, რეაგირება მათ ქმედებებზე და უკუკავშირის მიცემა

მასწავლებელი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ნებისმიერი მოსწავლის როგორც აკადემიურ, ისე ყოფაქცევის შეფასებას, რათა იყოს ობიექტური და არ მოახდინოს მასზე გავლენა წინასწარგანწყობებმა და გენდერულმა მიკერძოებამ.

დავფიქრდეთ, ახდენს თუ არა გავლენას გოგონებისა და ბიჭების მიმართ ჩვენი მოლოდინი სწავლის შედეგების შეფასებაზე. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ახდენდეს. მაგალითად, გვაქვს მოლოდინი, რომ ბიჭები უფრო სხარტად ასრულებენ მათემატიკურ ამოცანებს, ვიდრე გოგონები, – აქედან გამომდინარე, შეიძლება დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისას მეტი დრო მივცეთ გოგონებს, ბიჭებს კი წინასწარგანსაზღვრული დროის გასვლისთანავე ჩამოვართვათ რვეულები. ცხადია, ეს გავლენას მოახდენს მოსწავლეთა ნამუშევრებზე, რაც აისახება შეფასებაზე. ან შეიძლება მაგალითის ამოხსნისას შეცდომა ბიჭის შემთხვევაში მივიჩნიოთ მექანიკურად და ქულა არ დავაკლოთ, გოგოს შემთხვევაში კი იგივე შეცდომა მივიღოთ, როგორც ცოდნის/უნარის დეფიციტის გამოხატულება. მაშასადამე, ყოველთვის დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ გენდერულმა მიკერძოებამ არ იმოქმედოს ჩვენს ობიექტურობაზე, მოსწავლის როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებისას. ასევე გვმართებს სიტყვიერი შეფასებითი კომენტარების კონტროლი, რათა არ იყოს ის სტერეოტიპული. მაგალითად, გენდერული სტერეოტიპის მატარებელი იქნება შეფასებითი კომენტარი:

„ყოჩაღ, ნინო, ისე ადვილად ხსნი ამოცანებს, ნამდვილად არ ჩამოუვარდები ბიჭებს“, ან: „საბა, როგორ მიხარია, რომ გამოასწორე კალიგრაფია და ახლა გოგოსავით ლამაზად წერ“.

რაც შეეხება ყოფაქცევას, ხშირად მასწავლებლები სხვადასხვა მოთხოვნებს უწესებენ გოგონებს და ბიჭებს და, შესაბამისად, მათ მიერ გამოვლენილ ერთსა და იმავე ქმედებაზე შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვაგვარი რეაქცია. წარმოიდგინეთ 2 სიტუაცია: დავუშვათ, შედიხართ კლასში და ხედავთ, რომ ბიჭები ერთმანეთს ეჭიდავებიან; და მეორე სიტუაცია, როდესაც ხედავთ, რომ გოგონები ეჭიდავებიან ერთმანეთს. რა რეაქცია გექნებოდათ? მასწავლებელთა დიდი ნაწილი ბიჭების შემთხვევაში ჩათვლიდა, რომ ეს მათთვის ბუნებრივი გასართობი ქცევაა და თუ ერთმანეთისთვის ან ფიზიკური გარემოსთვის ზიანის მიყენების რისკებს ვერ დაინახავდა, მძაფრი რეაგირება არ ექნებოდა. ხოლო რაც შეეხება გოგონების შემთხვევას, მასწავლებელთა დიდ ნაწილს ექნებოდა მწვავე რეაქცია და მოუწოდებდა დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ აქტივობა. თუ თავად არ გამოგიყენებიათ ასეთი ფრაზები, ალბათ შეესწრებოდით მაინც შემთხვევებს, როდესაც მასწავლებელი გოგონებს ეუბნება: „როგორ იქცევით, ბიჭები ხომ არ ხართ?“, „როგორ შეიძლება, გოგო ამას აკეთებდეს“, „გოგონებო, თქვენგან ამას არ მოველოდი“. უნდა ერიდოთ ასეთი უკუკავშირის მიცემას, რადგან ის სტერეოტიპული და არაობიექტურია. აბა დაფიქრდით, რა ობიექტური კრიტერიუმი რთავს ბიჭებს ჭიდაობის ნებას და გოგონებს უშლის? თუ საკლასო გარემოში გამოვლენილი ქცევა მიუღებელია, ის მიუღებელი უნდა იყოს ყველასთვის, განურჩევლად სქესისა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ მასწავლებლების მიკერძოებული დამოკიდებულება გოგონებისა და ბიჭების მიერ ემოციების გამოხატვასა და მართვაზე. განსაკუთრებული სტერეოტიპული მიდგომები შეინიშნება ისეთ ემოციებთან მიმართებით, როგორიცაა შიში, იმედგაცრუება, ბრაზი. აქედან მომდინარეობს მასწავლებელთა მსგავსი მოწოდებები: „ბიჭი ხარ, არ უნდა გეშინოდეს“, „რა გოგოსავით ტირი“, „გოგო უნდა იყოს ნაზი, შენ კიდევ როგორ ყვირი“.

რეკომენდაციები

- მოახდინეთ ყველა მოსწავლის ობიექტური შეფასება და კონსტრუქციული გზით მიეცით უკუკავშირი ყველას, განურჩევლად თქვენი პირადი სიმპათიებისა;
- შეფასებისას ერიდეთ მოსწავლეების შედარებას სხვა მოსწავლეებთან. მოსწავლის აკადემიური თუ ქცევითი პროგრესის შეფასებისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შედარება მისივე საწყის მონაცემთან, თუმცა არ არის მიზანშეწონილი სხვა მოსწავლეებთან შედარება. დაუშვებელია ისეთი კომენტარების გაკეთება, როგორიცაა: „სხვა ბიჭებმა თუ ისწავლეს, რომ წყნარად უნდა იყვნენ გაკვეთილზე, შენ რატომ ვერ ისწავლე?“ „გოგონები, როგორც ყოველთვის, უფრო ბეჯითები ხართ“, „აი, მოუსმინე ნათიას, როგორ კარგად კითხულობს, შენ კიდევ შენს პირველკლასელ ძმასავით ბლუყუნებ“.
- გააკეთეთ შეფასებითი კომენტარები ქცევაზე და არა მოსწავლეზე. უთხარით: „ეს არ იყო კარგი საქციელი“, ნაცვლად ფრაზისა: „შენ ცუდი ბიჭი/გოგო ხარ“. ეს უკანასკნელი ნეგატიურ იარლიყებს აწებებს მოსწავლეს, აყალიბებს არასწორ მოლოდინს და მოქმედებს მოსწავლის თვითშეფასებაზე;
- არც ბიჭებს და არც გოგონებს არ აუკრძალოთ ემოციების გამოხატვა, თუმცა გმართებთ გამოხატვის სწავლება კონსტრუქციული გზებით. მაგალითად, უნდა აუხსნათ მოსწავლეებს, რომ თუ ისინი რამეზე გაბრაზდებიან, მათ ამის უფლება აქვთ. ბრაზს, ისევე როგორც ნებისმიერ ემოციას, ყველა განვიცდით. თუმცა, გაბრაზება არ უნდა გამოვხატოთ თანაკლასელის ან ფიზიკური გარემოს მიმართ აგრესიით, ეს მიუღებელია. მისაღები ქცევა იქნებოდა სიტყვიერად გვეთქვა, რომ გაბრაზებული ვართ.
- შეეცადეთ მოსწავლეთა მხრიდან გამოვლენილი გენდერული სტერეოტიპების განეიტრალებას. მაგ., როდესაც ხედავთ, რომ ერთ-ერთ ბიჭს დასცინიან ვარდისფერი მაისურის გამო, მკაფიოდ უთხარით: „ადამიანი იცვამს იმას, რაც თავად მოსწონს და რაც თავს კომფორტულად აგრძნობინებს. გოგოს და ბიჭის ფერები არის ხელოვნურად გამიჯნული და არანაირი ობიექტური საფუძველი არ გააჩნია ასე დაყოფას. მე ქალი ვარ, მაგრამ ბავშობიდან მომწონდა ცისფერი ტანსაცმელი. აბა შენც დაფიქრდი შენს გამოცდილებაზე“.

- შეძლებისდაგვარად მოახდინეთ ბულინგისა და ძალადობის სხვა ფორმების პრევენცია, დროულად მოახდინეთ შემთხვევათა იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები*. პრევენციული ზომების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია წესების შემუშავება, მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე ზრუნვა და მათ ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ქმედებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ყურადღებას გაამახვილებთ ადამიანის უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე, ტოლერანტობაზე და სხვ.
- გახსოვდეთ, თქვენი მხრიდან უკუკავშირი და რეაგირება არ უნდა იყოს ძალადობრივი. ძალიან დიდ შეცდომას უშვებენ მასწავლებლები, როდესაც ჩხუბითა და დამსჯელობითი გზებით ცდილობენ მოსწავლისთვის „ჭკუის სწავლებას“ შეუფერებელი საქციელის გამო.
- მოსწავლეს კონსტრუქციულად აუხსენით, თუ რატომ არის მიუღებელი მისი ქცევა და მოუწოდეთ ბოდიშის მოხდისაკენ, „დანაშაულის გამოსყიდვისაკენ“. ქცევის მართვის ერთ-ერთი პოზიტიური მეთოდია ე.წ. ლოგიკური შედეგების მეთოდი. ამ დროს მოსწავლე თავისი სოციალურად მიუღებელი ქცევის შედეგად იღებს არცთუ ისე სახარბიელო შედეგს, რომელსაც მასწავლებელი განსაზღვრავს. მაგალითად, თუ მოსწავლე თანაკლასელის მერხს დააწერს უხამს, შეურაცხმყოფელ ფრაზას, მას დაევალება ბოდიშის მოხდა და მერხის გაწმენდა. მოცემული მეთოდის მთავარი წესი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა იყოს ლოგიკური კავშირი შედეგსა და ბავშვის მიერ განხორციელებულ ქცევას შორის. თუ მასწავლებელი ბავშვს დასჯის მიზნით არ მისცემს შესვენებაზე გართობის ნებას, ეს იქნებოდა დასჯა და არა ლოგიკური შედეგების მეთოდი, რამდენადაც არანაირი ლოგიკური კავშირი არ არის მერხის დასვრასა და შესვენებაზე გართობას შორის. ამასთან, ლოგიკური შედეგი სწორად უნდა იქნას შერჩეული, ის უნდა იყოს ჩადენილი ქცევის პროპორციული და ბავშვის ძალებს არ უნდა აღემატებოდეს .

სავარჯიშო

გაეცანით შემთხვევის აღწერებს და შეაფასეთ მასწავლებლის ქმედება. დაფიქრდით, თქვენ როგორ მოიქცევით მსგავს სიტუაციაში გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

1. მე-10 კლასელი მოსწავლე ბიჭი სკოლაში მოვიდა შეღებილი თმით და საყურეებით. თანაკლასელებმა აბუჩად აიგდეს და „ცისფერი“ უწოდეს. მასწავლებელმა ბიჭი გვერდით გაიყვანა და უთხრა: „ხომ იცოდი, რომ ასე მოხდებოდა, მე ვიცი, რომ შენ ასეთი არ ხარ და უსამართლოდ გეძახიან, მაგრამ ჩვეულებრივ ბიჭს შეღებილი თმა და საყურე არ შეეფერება და ამიტომ, რომ აღარ დაგცინონ კლასელებმა, გირჩევ გადაიღებო თმა და ეგ საყურეებიც აღარ გაიკეთო“.
2. სკოლაში ახალი გადმოსული დაწყებითი კლასის მოსწავლე ბიჭი გაკვეთილის მანძილზე ტიროდა და მშობელს ითხოვდა. მასწავლებელი მივიდა და მკაცრად უთხრა: „არ გცხვენია ამხელა ბიჭს, პატარა გოგოსავით რომ ტირი და დედას ითხოვ? რას იტყვიან შენი კლასელები, არ გცხვენია?“.
3. მე-4 კლასელ გოგოს აქვს სირთულეები სწავლაში. იგი ხშირად მიდის სკოლაში საშინაო დავალების გარეშე. გაკვეთილებზეც ხშირად არ ერთვება საკლასო აქტივობებში. ერთ დღეს მასწავლებელი ეუბნება: „შენგან მაინც არაფერი გამოვა, სწავლა შენ არ გინდა და მოსმენა. ამიტომ ის მაინც აკეთე, რაც შეგიძლია: გაასუფთავე დაფა და დახვეტე კლასი. შენგან მეტს აღარაფერს მოვითხოვ“.

თანამშრომლობა სკოლის ადმინისტრაციასთან

მართალია, გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიური პრაქტიკის უშუალო განმახორციელებელი არის მასწავლებელი, თუმცა საჭირო იქნება სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერა გენდერთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემის დასაძლევად და გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის სკოლაში ინსტიტუციონალიზაციისთვის. მხოლოდ ერთი მასწავლებელი იზოლირებულად ძირეულ ცვლილებებს ვერ

* https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0

მოახდენს განათლებაში, თუ არ ექნა სისტემური მხარდაჭერა და სათანადო დახმარება გარშემომყოფების (მშობლების, მენეჯმენტის გუნდის, თავად მოსწავლეების) მხრიდან.

ადმინისტრაციის როლი და პასუხისმგებლობა განსაკუთრებით დიდია ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

- გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის მნიშვნელობისა და სარგებლიანობის აღიარება;
- გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- გენდერულად პასუხისმგებლიანი სასკოლო პროგრამების/წიგნების შერჩევა;
- შესაბამისი შიდა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და გატარება;
- გენდერთან დაკავშირებულ ძალადობაზე რეაგირებისა და რეფერირების მექანიზმების წარმატებით ფუნქციონირება;
- მასწავლებელთა მხარდაჭერა მშობლებთან კომუნიკაციის დროს;
- შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფა;
- მასწავლებელთა პროფესიული ზრდა გენდერთან დაკავშირებული ძალადობისა და გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის სხვა საკითხებზე;
- მიმდინარე პროცესების შეფასება და მონიტორინგი.

ადმინისტრაციის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაციის ფლობა დაგეხმარებათ სწორად განსაზღვროთ, თუ როდის და რა შემთხვევაში უნდა მიმართოთ მის წარმომადგენლებს, რათა მიიღოთ მხარდაჭერა გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე. საუკეთესო შემთხვევაში ადმინისტრაცია თავად უნდა იყოს დაინტერესებული გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის დანერგვით სკოლაში და ყველა შესაბამის ზომას იღებდეს ზემოთ ჩამოთვლილი პასუხისმგებლობების სათანადოდ შესრულებისთვის და, შესაბამისად, იჩენდეს ინიციატივას სათანადო მხარდაჭერის გაწევისთვის. თუ რაიმე მიზეზის გამო ეს ასე არ ხდება სპონტანურად, თქვენ გაქვთ უფლება, თავად მიხვიდეთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კონკრეტული თხოვნის, რეკომენდაციის, გამოვლენილი საჭიროებების ან თქვენ მიერ დაგეგმილი ქმედებების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით. მაგალითად, თუ ერთ-ერთი მოსწავლის მიმართ ხორციელდება ბულინგი თანაკლასელების მხრიდან მისი განსხვავებული ჩაცმის სტილისა და გარეგნობის გამო; ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე გაკვეთილზე საკუთარი გენიტალიებით მანიპულირებს, შეიძლება გჭირდებოდეთ გასაუბრება ფსიქოლოგთან, რომელიც მოგცემთ შესაბამის რეკომენდაციებს სიტუაციის სამართავად. მსგავს სიტუაციებში შეგიძლიათ მიმართოთ ადმინისტრაციას და სთხოვოთ დახმარება ამ კუთხით.

თანამშრომლობა მშობლებთან

გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკა აღიარებს მოსწავლეთა მშობლებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას. რამდენადაც ხშირად გენდერული სტერეოტიპები ოჯახიდან მოდის, მზად იყავით მშობლებთან კომუნიკაციისთვის. საკითხს შეხედეთ ისე, რომ თქვენთვის მთავარი უნდა იყოს გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიური პრაქტიკის გატარება და არა მშობლის წყენინების თავიდან არიდება. თუ მშობელი მოდის და გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მის ბიჭს დაავალეთ ოთახის გამოხვეტა, უბრალოდ აუხსენით, რომ მორიგეობას ექვემდებარება ყველა მოსწავლე, რომლის ფარგლებშიც ხან გამოხვეტვა მოუწევთ, ხან მერხების გადაადგილება და ხანაც მერხების გაწმენდა. თუ მოცემული აქტივობა არ არის უკუნაჩვენები რომელიმე მოსწავლის ჯანმრთელობის სირთულეების გამო, ყველა მოსწავლე ჩაყენებული იქნება თანაბარ პოზიციაში.

იმისათვის, რომ ერთი მხრივ ზემოთ ხსენებული უთანხმოებები აიცილოთ თავიდან, მეორე მხრივ კი გარკვეული წვლილი შეიტანოთ გენდერის საკითხებზე მშობელთა ცნობიერების ამაღლებაში, რეკომენდებულია მშობლებთან ღიად საუბარი გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის, მისი მნიშვნელობის, სარგებლისა და იმ საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების შესახებ, რომელიც, თქვენ, როგორც პედაგოგს, სრულ

ლეგიტიმაციას განიჭებთ გამოიყენოთ სწავლების ისეთი მიდგომები, რომლებიც შესაძლოა, კონკრეტული ოჯახის ტრადიციულ ხედვებს და სურვილებს ვერ ერგება, თუმცა, წარმოადგენს გენდერულად პასუხისმგებლიან პრაქტიკას.

მშობლებთან კომუნიკაციისას გმართებთ თავდაჯერებულობა და ასერტულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ კონსტრუქციულად, არგუმენტირებულად, შეურაცხყოფის გარეშე უნდა აუხსნათ მათ, თუ რას და რატომ აკეთებთ, ნათლად დაანახოთ გენდერულად პასუხისმგებლიანი „სასკოლო ცხოვრების" არსი და მისი მნიშვნელობა საზოგადოებისთვის. ამ მიზნით შეგიძლიათ დაგეგმოთ საინფორმაციო შეხვედრები ან სხვა ტიპის ღონისძიებები, რომელთა მიზანიც იქნება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერთან დაკავშირებული ძალადობის პრევენცია. ცხადია, ასეთი ტიპის ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

სავარჯიშო

გაეცანით შემთხვევის აღწერებს და შეაფასეთ მასწავლებლის ქმედება. დაფიქრდით, თქვენ როგორ მოიქცევით მსგავს სიტუაციაში გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

1. მე-5 კლასის გოგონამ მშობელთან დაიჩივლა, რომ ერთ-ერთი თანაკლასელი ბიჭი სულ გვერდით დაჰყვება და ხშირად ცდილობს მასთან ჩახუტებას, რაც მას არ სიამოვნებს და ეუბნება თავი დაანებოს, მაგრამ ბიჭი არ ანებებს თავს. გარდა ამისა, სხვა თანაკლასელები მათ შესახებ ხშირად აკეთებენ დამცინავ კომენტარებს. მშობელმა მასწავლებელს მოუყვა აღნიშნულის შესახებ. მასწავლებელმა მშობელი დაამშვიდა და უთხრა, რომ „ამ ასაკში ურთიერთმოწონება ბუნებრივი მოვლენაა, და ისეთი არაფერი ხდება, რადგან თვითონ სრულად აკონტროლებს სიტუაციას“.
2. მასწავლებელმა ერთ-ერთი მოსწავლის მშობლისგან მიიღო საყვედური იმის თაობაზე, რომ გაზაფხულისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის მან ითხოვა ცისარტყელას ფერებიანი ქოლგების მოტანა. მშობლის პოზიცია იყო ის, რომ ცისარტყელა ასოცირდებოდა ჰომოსექსუალებთან და მისი თქმით, ეს გამიზნული იყო ჰომოსექსუალობის პროპაგანდისთვის. მასწავლებელმა მშობელს მოუბოდიშა, რომ მას არ უფიქრია აღნიშნულზე, უბრალოდ „გამოეპარა“ ცისარტყელას სიმბოლური დატვირთვა და შეჰპირდა, რომ სხვა ფერით ჩაანაცვლებდა.

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება

გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიური პრაქტიკის ეფექტურობის შეფასება, როგორც წესი, შესაძლებელია როგორც სკოლის ადმინისტრაციის, ისე სხვა კოლეგების და თავად კონკრეტული პედაგოგის მხრიდან. ამ შემთხვევაში შევჩერდებით ამ უკანასკნელის უფრო დეტალურ განხილვაზე.

მასწავლებელი, რომელიც ცდილობს გენდერულად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის გატარებას კლასში, სისტემატურად უნდა ზრუნავდეს პროგრესის მონიტორინგსა და შეფასებაზე. შეფასებას შეიძლება დაექვემდებაროს ყველა ის პუნქტი, რომელიც განვიხილეთ დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებთან. იმისათვის, რომ გაგიადვილდეთ შეფასება, გაითვალისწინეთ შემდეგი:

- თავიდანვე დაისახეთ კონკრეტული მიზნები და ამოცანები;
- გაწერეთ მიზნის მიღწევის ინდიკატორები;
- სისტემატურად აწარმოეთ დისკუსიები კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან პედაგოგიკის ტრანსფორმაციის თაობაზე;
- მოახდინეთ იმის დოკუმენტირება, თუ რამ იმუშავა კარგად და რამ არა;
- გაუზიარეთ სხვებს თქვენი პრაქტიკის შესახებ და ერთობლივად დასახეთ შემდგომი ნაბიჯები გაუმჯობესებისათვის.

ქვემოთ წარმოდგენილი თვითრეფლექსიის კითხვები დაგეხმარებათ შეაფასოთ საკუთარი პრაქტიკა, დაინახოთ საჭიროებები და ის მხარეები, რომლებიც თქვენი მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს ან შედეგის გასაუმჯობესებლად საჭიროებს სხვათა მხარდაჭერას.

ეტაპები	კითხვების ნიმუშები თვითრეფლექსიისთვის	თქვენი პასუხი (ნიმუში)	თქვენი პასუხი (რეალური)
დაგეგმვის ეტაპი	► გავაანალიზე კურიკულუმი გენდერულ ჭრილში? ► შეძლებისდაგვარად დავგეგმე კურიკულუმში ცვლილებები, რათა მეტად გენდერულად პასუხისმგებლიანი გამეხადა ის?	► დავგეგმე, რომ მოსწავლეებს საშინაო დავალებად მივცე ინფორმაციის მოძიება ქალი იმპრესიონისტების შესახებ, რადგან სახელმძღვანელოში მხოლოდ მამაკაცი იმპრესიონისტები არიან წარმოდგენილნი.	►
გაკვეთილის მსვლელობა	► რა აქტივობები გამოვიყენე სახელმძღვანელოში აღმოჩენილი გენდერული სტერეოტიპების გასანეიტრალებლად?	► რადგან განსახილველი ნაწარმოები შეიცავდა ქალის და კაცის როლის მიმართ გავრცელებულ სტერეოტიპებს, მოსწავლეები ვამსჯელე იმაზე, თუ რა როლს ასრულებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ ირგვლივ მყოფი ქალები და კაცები. მსჯელობისას აქცენტები გავაკეთეთ იმაზე, რომ ქალებს და კაცებს შეუძლიათ მოირგონ სხვადასხვა როლი.	►
კლასის ორგანიზება	► მოსწავლეთა განთავსებისას გავითვალისწინე გოგონებისა და ბიჭების საჭიროებები? ► ხომ არ გამოვიყენე ისეთი განთავსება/დაჯგუფება, რომელმაც გოგონებისა და ბიჭების სეგრეგაცია-დაპირისპირებას შეუწყო ხელი?	► ჯგუფური სამუშაოს დროს ბავშვები დავყავი შემთხვევითობის პრინციპით, თუმცა ისე, რომ დავიცავი სქესის ბალანსი	►
მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ინტერაქცია	► სათანადოდ გავაკონტროლე ჩემი მეტყველება, რომ არ გამომეყენებინა სტერეოტიპული ფრაზა, მიმართვა, ინსტრუქცია? ► პატივისცემით ვეპყრობოდი ყველა მოსწავლეს? ► ხომ არ გამოვავლინე მიკერძოებული ან დისკრიმინაციული დამოკიდებულება?	► როდესაც გოგონებმა პირველებმა ჩამაბარეს დავალება, წამომცდა ფრაზა: „ისევ თქვენ სჯობნით ბიჭებს“. (ამ კუთხით დამატებითი მუშაობა მჭირდება საკუთარ თავზე, რომ ასეთი წამოცდენები აღარ მქონდეს მომავალში).	►

ეტაპები	კითხვების ნიმუშები თვითრეფლექსიისთვის	თქვენი პასუხი (ნიმუში)	თქვენი პასუხი (რეალური)
მოსწავლეებს შორის ინტერაქცია	► სათანადო უკუკავშირი მივეცი მოსწავლეს იმის გამო, რომ სხვა მოსწავლის გარეგნობაზე ცინიკური კომენტარი გააკეთა?	► მოსწავლეს ავუხსენი, რომ ასეთი კომენტარების გაკეთება მისაღები არ არის და ეს გულს ატკენს თანაკლასელს.	►
მშობლებთან თანამშრომლობა	► გამოვიჩინე მშობელთან კომუნიკაციის ინიციატივა მოსწავლის გენდერული საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში?	► კონკრეტული მოზარდი გოგონას მშობელი დავიბარე და განვიხილე მისი ემოციური მდგომარეობა, რაც ჩემი დაკვირვებით, განპირობებული იყო გარდატეხის ასაკისათვის დამახასიათებელი სხეულებრივი ცვლილებებით (აკნე)	►

მსგავსი თვითრეფლექსიის ცხრილის შემუშავება დაგეხმარებათ ყოველდღიურად ან დროის მცირე შუალედებში დააკვირდეთ საკუთარ პრაქტიკას. შედეგების გაცნობიერება ხელს შეუწყობს თქვენს პროფესიულ განვითარებას გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება პრაქტიკის საწყის ეტაპზე.

თვითრეფლექსიის გარდა, მნიშვნელოვანია აწარმოოთ დაკვირვება მოსწავლეებზე და განსაზღვროთ, რა კუთხით გმართებთ მეტი მუშაობა მათთან – მაგალითად, ტექნიკურ საგნებში გოგონების თავდაჯერებულობის ამაღლების, ქალების და კაცების მიერ ემოციების გამოხატვის შესახებ სტერეოტიპული მოსაზრებების გაბათილების თუ განსხვავებული გენდერული იდენტობის მქონე მოზარდზე ემოციური ძალადობის აღმოფხვრის კუთხით.

პედაგოგი უნდა აცნობიერებდეს, რომ შესაძლოა მისმა ცალკეულმა მცდელობებმა მაშინვე ისეთი პოზიტიური შედეგები ვერ გამოიღოს, როგორსაც ელოდა. გახსოვდეთ, იმისათვის რომ მივიღოთ ხილული პოზიტიური ცვლილებები სკოლაში გენდერული თანასწორობის, არასტერეოტიპული განწყობების, ძალადობისგან თავისუფალი გარემოს კუთხით, საჭიროა საკმაო მონდომება და სისტემატური ძალისხმევა.

გამოყენებული ლიტერატურა და სხვა წყაროები

- ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2017;
- კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2014;
- მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ, ტრენინგებისა და კვლევის ჯგუფი, 2014;
- სკოლები გენდერული თანასწორობის, გენდერული სტერეოტიპების და ოჯახში ძალადობის გამოწვევების პირისპირ, ფონდი სოხუმი, 2020;
- სოციალურ-ემოციური სწავლება. ილიას სამართლის სახლი, 2022.

- Aina O.E., Cameron P.A. Why Does Gender Matter? Counteracting Stereotypes With Young Children. Dimensions of Early Childhood, Vol 39, No 3, 2011;
- FAWE. Gender Responsive Pedagogy. A Teacher's Handbook. 2005;
- Meyer E. J. Gender, Bullying, and Harassment. Strategies to End Sexism and Homophobia in Schools Teachers College, Columbia University. 2009;
- PREVENTING VIOLENCE AGAINST GIRLS. SHOULD PROGRAMS BE GENDER-SPECIFIC? Conference proceedings, Montreal October 25th, 2002;
- Save the Children – Sweden – South and Central Asia Region . Children and Gender Based Violance. 2007;
- UNESCO and UN Women**.** School – Related Gender Based Violance. 2016;
- United Nations Girls' Education Initiative (UNGEI) and the Global Partnership for Education (GPE) supported by UNICEF.Guidance for Developing Gender-Responsive Education Sector Plans. 2016;
- WHO. SCHOOL-BASED VIOLENCE PREVENTION. A practical handbook. 2019;
- Zulkarnaini S, Adriany V. Analysis of Gender Equality in Early Childhood Education in Indonesia . Advances in Social Science, Education and Humanities Research, volume 538. 2020;

- https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35
- https://mes.gov.ge/old/upload/editor/file/Brdzanebebi/1/zogadi%20ganaTlebis%20shesaxeb.pdf
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/80548?publication=0

- https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032919?publication=0
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/4466863?publication=0
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/4466863?publication=0
- http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf
- https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0

12
9
3
5
11